

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით


„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიციტ სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“

უწმიდესი და უნეტარესი
ილია II

ISSN 1987-5207

შაკ (UDC) 27 + 271.2

მ – 407

	სსამეგრედ	მათიწარე
	შურნალ-გაგეთეპის სარამენური სამსახური	რეგისტრაციის
მათიწარე რეგისტრაციის №.....	№ 4 (13)	07.12.13.
დასახელება: აუტისა დო მუჯეოკანი		
რეცენზენტი: იქიმინდოი ვახუ კაცნით		

შინაარსი

მონარქიისათვის.....6	ლოცვისათვის (ათონელი ბერების სწავლება).....27
მღვდელმოწამე ამბროსი (ხელაია) „მონდოლთა, სპარსთა და თურქოსმალთა ბატონობის პერიოდი“.....8	„გვირგვინი“ (ქველისმოქმედებისა და მოწყალების- ათვის).....31
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) საკვირაო ქადაგება.....14	ივანე ჟღენტი ქართული გალობა.....38
მღვდელმოწამე გრიგოლ V (კონსტანტინეპო- ლის პატრიარქი).....17	მარადიულთან შეხება (მიხეილ მჭედლიშვი- ლის ხატწერა).....44
მაია კაკაშვილი კოლივალები.....20	მონოზონი ანგელინა (ხატიაშვილი) ტაო-კლარჯეთი.....46
ირინა გარაყანიძე სამონოზონო შესამოსელი.....23	

რედაქტორი:

მონოზონი ანა (ნიაური)

სარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

პასუხისმგებელი მდივანი:

მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)

სტილისტი-კორექტორი:

შორენა სივსივაძე

მისამართი: მცხეთის სამთავროს

წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07

ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com

ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



მეუფეო, უფალო, ღმერთო ჩვენო, წყარო ცხოვრებისა და უკვდავებისაო, ყოვლისა დაბადებულისა, ხილულისა და უხილავისა შემოქმედო, ჟამთა და წელთა თვისითა ხელმწიფებითა დამამყარებლო და მმართველო ყოვლისაო სიბრძნითა და სახიერებითა შენითა განგებულებითა; გმადლობთ მოწყალებათა შენთათვის, რომელნი საკვირველჰყვენ ჩვენზედა წარსულსა ჟამსა ცხოვრებისა ჩვენისასა, გვედრებით შენ, ყოვლადმოწყალო, აკურთხე გვირგვინი მოწვეწულისა ამის წელიწადისა, სახიერებითა შენითა. ამინ.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

~ RMRTISA GESINODEN, MEFESA PATIVSCEMDET ~
(PETR. 2,17)



უწმიდესი და უნეტარესი ილია II უფლისწულის, გიორგი ბაგრატიონის, ნათლობის საიდუმლოს აღასრულებს.

* * *

მე მინდა ვთქვა, რომ ბაგრატიონებს ჯერ მთავარი სიტყვა არ უთქვამთ, ეს მომავალში უნდა გააკეთონ. ჩვენ იმედით ვცხოვრობთ და ველოდებით იმ ბედნიერ დღეს, როცა ბაგრატიონები თავის სიტყვას იტყვიან.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II



MONARQIISATVIS

წმიდა წერილის და წმიდა გარდამოცემის თანახმად, სამეფო ხელისუფლება ერთადერთ ღვთივსათნო მმართველობად ითვლება. „მართლმადიდებლობის ზეიმის წეს-განგების“ მე-11 მუხლში ნათქვამია: „სამეფო ხელისუფლების ღვთივწარმომავლობის და მისადმი ჯეროვანი პატივის უარისმყოფელნი – განიკვეთონ“.

წმიდა იოანე ოქროპირი: ღმერთმა სამეფო ხელისუფლება დააწესა ადამიანთა კეთილდღეობისათვის, რათა მრავალი მათგანი პირუტყვივით არ ცხოვრობდეს.“

წმიდა ისიდორე პელუსიოტელი: „სამეფო ხელისუფლება ღვთივდადგენილია, მაგრამ თუ ამ ხელისუფლებას ვინმე უსჯულო ბოროტმოქმედი მიიტაცებს, მაშინ მას ღვთივდადგენილად არ ვადასტურებთ, არამედ ვამბობთ, რომ – დაშვებულა.“

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი: „ნეტარია ის, ვინც გამრჯე მარჯვენით პატივს მიაგებს მეფეს.“

წმიდა გრიგოლ ხანძთელი: „ხელმწიფენი უფალ-ყვნა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა.“

წმიდა დიმიტრი როსტოველი: „ქრისტიანი მეფის სახე და წოდება ამქვეყნად წარმოადგენს მეუფის, იესო ქრისტეს, მსგავსებას, რომელიც მკვიდრობს ცათა შინა.“

წმიდა იოანე კონშტანტინოპოლელი: „მოყვანო, მტკიცედ დაიცავით მეფე, თაყვანის

ეცით და გიყვარდეთ იგი; გიყვარდეთ წმიდა ეკლესია და მამული თქვენი.“

ანტონი VI, კონსტანტინეპოლის პატრიარქი: „შეუძლებელია რომ ქრისტიანებს ეკლესია ჰქონდეთ და მეფე არ ჰყავდეთ; რადგან სამეფო და ეკლესია მჭიდრო ურთიერთკავშირშია და მათი განცალკევება შეუძლებელია.“

ანტიოქიის პატრიარქი გრიგოლი IV: „სახელმწიფოს მართვის წმიდა, ღვთივკურთხეული ფორმა არის თვითმპყრობელობა; რომელსაც თავად უფლის მიერ დადგენილი თვითმპყრობელი, გვირგვინოსანი მეფე განაგებს და რომელიც ჩვეულებრივი ადამიანი კი არ არის, არამედ – ღვთივკურთხეული ხელისუფალია...“

წმიდა წერილით გონების განწმენდა, მართლმადიდებელი სარწმუნოების, თვითმპყრობელი მეფის და მამულის ერთგულად დაცვა, არს წმიდა და დიდებული, რომელიც ღვთივკურთხეული, უმთავრესი და უპირველესი მნიშვნელობის საქმეა.“

ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებელი და სალოსი: „სანამ საქართველოს გვირგვინოსანი მეფე არ ეყოლება – არ ეშველება. საქართველოს უნდა ჰყავდეს გვირგვინოსანი, მეფე-ბაგრატიონი.“

MEFE EREKLES XSENEBA

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში 7 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მეფე ერეკლეს დაბადების დღეს, მეფის სულის საოხად, პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს ესწრებოდნენ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრები: ბატონიშვილი ნუგზარი მეუღლესთან, ქალიშვილთან – დედოფალ ანასთან და შვილიშვილთან – უფლისწულ გიორგისთან ერთად. პანაშვიდს ესწრებოდა სასულიერო და საერო წარმომადგენლობა.



* * *

დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ, ისეთი დიდი სიყვარული არავის რგებია, როგორც მეფე ერეკლეს, რაც ასახულია ქართულ წყაროებსა და ხალხურ შემოქმედებაში.

ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი



უწმიდესი და უნეტარესი ილია II და ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი



ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, ილუმენია ქეთევანი (კოპალიანი) და არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

MRVDELMOWAME AMBROSI (XELAIA)

MONROLTA, SPARSTA DA TURQ-OSMALTA BATONOBIS PERIODI~

MEFE EREKLE II

... მეფე ერეკლე 1744 წელს, ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ, უწინარეს ყოვლისა, ქართველი ხალხის ზნეობაზე ზრუნვას შეუდგა. მთელი ასი წლის განმავლობაში, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე არ უნახავს. მაჰმადიანი მეფეები უმეტესად მაჰმადიანობას და მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებათა განმტკიცებას ცდილობდნენ. ერეკლე ეკლესიის ინტერესების დამცველ, თავგამოდებულ ქრისტიანად გვევლინება. წეს-ჩვეულებათა და საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად იგი 1748 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის იერარქთა კრებას იწვევს; თბილისში ხსნის სტამბას, რომელიც ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლების დროიდან, საქართველოში შექმნილი არეულობებისა და უმეფობის გამო, დახურული იყო; მრავალ მონასტერში აწესებს დაბალი და საშუალო განათლების ტიპის სკოლებს, მოზარდი თაობების აღსაზრდელად და გასანათლებლად თბილისში გამა-



რთა ზარაფხანა, არსენალი და შექმნა მორიგე (მუდმივმოქმედი) ჯარი. 1765 წლიდან თბილისში ზარბაზნების ჩამოსხმა დაიწყო, რომლებითაც ერეკლე ციხე-სიმაგრეებს გამუდმებით ამარაგებდა. ერეკლე თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას აკვირდებოდა და ხედავდა, რომ ცხოვრება ახალ კვალში დგებოდა; რომ

სიცოცხლის და ქონების დაცვის საკითხის გარდა, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი დგებოდა: შესულიყო თუ არა ქართველი ხალხი კულტურულ ევროპელთა ოჯახში, თუ გამხდარიყო მსხვერპლი აზიური უმეცრებისა.

ერეკლეს კარგად ესმოდა ქართველი ხალხი განათლებასა და ევროპულ კულტურას რომ უნდა ზიარებოდა და ყველაფერს მის განსახორციელებლად იქმნოდა, მა-

გრამ, უპირველეს ყოვლისა, ისიც კარგად ესმოდა, რომ ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა საქართველო მაჰმადიანობისა და მისი გავლენისგან იქნებოდა თავისუფალი. ამის გამო მან, თავდაპირველად, მთელი თავისი ძა-

ლები იქითკენ მიმართა, მართლმადიდებლური საქართველო მაჰმადიანობის საფუძვლებისა და იმ ინტრიგებისგან გაეთავისუფლებინა, რასაც ისინი ქვეყანაში თესავდნენ.

ერეკლე 1749 წლიდან იწყებს ქვეყნის გაძლიერებას, აღადგენს ძველს და აშენებს ახალ ციხე-სიმაგრეებს, როგორც სპარსელების, თურქებისა და ლეკების საზღვრების პირას, ასევე შიგნით, სახელმწიფოში, ზარბაზნებითა და გარნიზონებით ამაგრებს ჯარს. შეტევითი ღონისძიებებისთვის საკმარისი მზადყოფნა რომ იგრძნო, სპარსელთა შინააშლილობით სარგებლობს, თავს ესხმის ერევანს და აღებისთანავე, მოქმედებები ერთიმეორეს მიჰყვება ლეკების, ყარაბახის, შამახის, განჯის სახანოების წინააღმდეგ და 1750 წელს მათი დამორჩილებით სრულდება; 1752 წელს საქართველოზე აზატ-ხანის მეთაურობით მომავალ სპარსელთა ორმოცათაისიან ლაშქარს ანადგურებს და სხვა ხოლო სახელგანთქმულმა ასპინძის ომმა, საქართველოზე გამოლაშქრებული თურქების მთავარი ჯარის ნაწილები რომ დაამარცხა, ერეკლეს „ასპინძის გმირის“ სახელი დაუმკვიდრა. ხალხისა და რწმენის მტრებზე ამგვარ გამარჯვებათა შედეგად, ერეკლემ საქართველო ამ მოუსვენარ მეზობელთა თავდასხმებისაგან არა მარტო გაათავისუფლა, არამედ ყველა დაიმორჩილა და ხარკი დაადო. ბუტკოვის სიტყვით, ერზერუმის, კარის, ბაიაზეთისა და რანის ფაშები მასთან მშვიდობიანად და მორჩილად იყვნენ. ერეკლეს მიერ მრავალგზის დამარცხებულმა ახალციხის ფაშამ, ფირმანი მიიღო ქართველ მეფესთან ზავის დადების შესახებ; ფირმანში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „სანამ ხარი წევს (იგულისხმება ერეკლე), ნუ ავნებ მას და ნუ აიძულებ ფეხზე წამოიმართოს.“ ამით ნათელი ხდება, რომ ერეკლეს გმირობამ

სულთანი აიძულა, საქართველოს მიმართ შემტევი პოზიციიდან თავდაცვითზე გადასულიყო. ამაყ და გულზვიად სპარს შაჰებს მასთან კავშირი თავიანთი ხელისუფლებისთვის საიმედოდ მიაჩნდათ. ლეკთა გაერთიანებები მასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებით იყვნენ შეკრული. ერეკლეს, ვითარცა სპარსელების, თურქებისა და სხვადასხვა სახანოს მძლეველის დიდება, ქართული სამეფოს საზღვრებს გასცდა. მის მეომრულ გენიას იცნობდა და აფასებდა ფრიდრიხ დიდი, რომელმაც მას თანამედროვე ჰერკულესი უწოდა: „მე დასავლეთში, ერეკლე აღმოსავლეთში“, – ხშირად წარმოთქვამდა ფრიდრიხ დიდი. „მრისხანე, მამაცი, დაუმარცხებელი“ – ასე აფასებდა ერეკლეს ეკატერინე დიდი, ვოლტერისადმი გაგზავნილ თავის წერილში; მაგრამ ასპინძის გმირს, რომლის ნახევარსაუკუნოვანმა მეფობამ (1744-1798) მუხლჩაუხრელ ბრძოლებში განვლო, სიცოცხლის ბოლო დღეებში მშობლიური ეკლესიის ოდინდელი დაუძინებელი მტრებისგან – მაჰმადიანებისაგან, უძიმესი განსაცდელი ელოდა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ერეკლე მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას და თავისი ხალხის ევროპული ცივილიზაციის გზაზე დაყენებას მონდომებით ცდილობდა. მიზნის შესასრულებლად, როგორც კი თავისი სახელმწიფო მაჰმადიანებისაგან გაათავისუფლა, ევროპულ სახელმწიფოებთან კავშირის ძებნას შეუდგა. ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილში ამ დროისთვის არსებობდა სამი დაჯგუფება: მუსლიმებთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებისგან საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ მოსვენების აუცილებლობის მომხრენი, ლათინური უნიის მიღებას სთავაზობდნენ. უნიის მიღების პირველი მომხრენი, უპირატესად, საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომად-

გენლები იყვნენ და ფიქრობდნენ, რომ სჯობდა დაქვემდებარებოდნენ პაპს და საეკლესიო უნიის შემწეობით შეენარჩუნებინათ ეროვნულობა, ქრისტიანობა და პოლიტიკური თავისუფლება. ქართული ეკლესიის ლათინურთან გაერთიანების პროპაგანდისტებს შეეძლოთ წარმატების იმედი ჰქონოდათ, რამეთუ პაპი დათანხმდა, რომ ადგილობრივი ეკლესიის რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და ენას არ შეეხებოდა, სამღვდლოებას და კალენდარსაც კი თავს არ მოახვევდა, და მეთაურობის აღიარებასდა დასჯერდებოდა; მაგრამ სხვები ამ კომპრომისზე არ მიდიოდნენ. ტრადიციულად, მართლმადიდებლობისადმი ერთგული, ეკლესიის დასაცავად თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ეკლესიის მტრებთან მებრძოლი ხალხი, არც ერთ სიასლეზე არ თანხმდებოდა, და ამის გამო ამ წამოწყებებს წარმატება არ ჰქონია.

სხვებს ეროვნულობისა და რწმენის შესანარჩუნებლად, სპარსეთის ან თურქეთის პროტექტორატის ცნობა მიაჩნდათ საჭიროდ; ვინაიდან მათი აზრით, თუმცა ნაწილობრივ სამართლიანით, ქართველების მართლმადიდებელ ქვეყნებთან კავშირის გამო, ეს სახელმწიფოები ქართულ სამეფოს მოსვენებას არ მისცემდნენ და მათთან გამუდმებულ მტრულ დამოკიდებულებაში იქნებოდნენ, რაც მრავალტანჯული საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა; მაგრამ ჯვარს და ნახევარმთვარეს, როგორც ნათელსა და ბნელს, თანაარსებობა არ ძალუძდა. ამის გამო მწარე გამოცდილების მქონე ქართველ ხალხს არ შეეძლო, ასე ადვილად დათანხმებოდა ურწმუნო მაჰმადიანთა პროტექტორატის ცნობას.

მესამე დაჯგუფებას კი ეკლესიის ერთადერთ გადამრჩენად, აღმსარებლობის წმიდად შენახვა მიაჩნდა და ამიტომ უნდოდათ, ეცნოთ მფარველობა რუსული

სახელმწიფოსი; რომელსაც შეეძლო დაეცვა ერთადერთი მართლმადიდებელი ქვეყანა მაჰმადიანების ხელყოფისაგან. ამ დაჯგუფების სათავეში იდგა ერეკლე და დედოფალ ეკატერინე II-სთან საქართველოდან მეფისწული ლეონი და კათალიკოსი ანტონი გაგზავნა, რომლებიც უფლებამოსილები იყვნენ, დაედოთ რუსეთსა და საქართველოს შორის ფორმალური კავშირი.

1768 წელს დედოფალმა ეკატერინემ, სამხედრო საბჭოსთან შეთანხმებით, გადაწყვიტა: იმისათვის, რომ ოტომანთა პორტასთვის ომი გამოეცხადებინათ და საქმე წარმატებით დაეგვირგვინებინათ, ოსმანთა წინააღმდეგ სხვა ქრისტიანებიც უნდა დაერაზმათ. ამ მიზნით, ბერძნებს, ჩერნოგორიელებს, პოლონელებსა და ქართველებს მოწოდებები დაეგზავნათ. ქრისტიანობის საერთო მტრის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის დედოფლის მოწოდებას, აღტაცებით მხოლოდ ქართველი მეფეები და ხალხი დაეთანხმა. ქართული ჯარები თურქეთის წინააღმდეგ ხუთი წლის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ. 1783 წლის 24 ივნისს მეფე ერეკლემ გეორგიევსკში ფორმალური ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვითაც იგი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა.

გარდა ამ ხელშეკრულებისა, ერეკლე მაჰმადიანთაგან სამეფოსა და ეკლესიის დასაცავად შინაგანი რესურსების მოძიებასაც ცდილობდა. ვიცეკანცლერ სოლომონ ლიონიდის ძალისხმევით, 1790 წელს თბილისში საქართველოსა და იმერეთის მეფეებს, სამეგრელოსა და გურიის მთავრებს შორის ეგრეთ წოდებული სამეკავშირეო ტრაქტატი დაიდო: „ვინაიდან ყოველივე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შო-

ბილნი და ერთისა ენისა მქონებელნი. აქვსთ მსახლობლობითიცა სიყვარული, სისხლი ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის. ამისთვის ჩვენ, ზემოსხენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების...“ ერეკლე ამ კავშირის მეთაურად იყო აღიარებული და პირობას დებდა, ყველა მოკავშირე დაეცვა; ხოლო სხვა მოკავშირეები თავიანთი მხრიდან ერეკლეს „მამულიშვილური“ უმაღლესი ხელისუფლების ცნობას, საერთო სამშობლოსა და მტრებისაგან მშობლიური ეკლესიის დაცვას ჰპირდებოდნენ. იმ დროის რჩეული ადამიანები ამაში ქვეყნის გადარჩენას ხელდავდნენ და ამით წინაპართა საუკუნეობრივი შეცდომების გამოსწორება სურდათ; მაგრამ უკვე გვიან იყო და ერეკლეს მეფობის დასასრულს, საქართველოს სპარსელთა მხრიდან კიდევ ერთი, ყველაზე შემზარავი გაჩანაგება ელოდა.

სპარსი შაჰები, ერთი მხრივ, ხელდავდნენ ქართველი ხალხის დაუღალავ სამზადისს, ქართულ სამეფოთა და სამთავროთა გაერთიანებული ძალებით, ეკლესიის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად; რა მიზნითაც ერეკლემ რუსეთთან კავშირი დაამყარა, ხოლო, მეორე მხრივ, პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული – სპარსეთის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის პოლიტიკას, და არაფრით შეეძლოთ საქართველოში ამგვარ ცვლილებათა მიმართ გულგრილები დარჩენილყვნენ.

ამ დროს სპარსეთის ტახტზე აღამაჰმად-ხანი ადის. სამოცდაათ ათასიანი ლაშქრით საქართველოს წინააღმდეგ მიემართება, რათა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების გამო შური იძიოს. საქართველოში მისი მეგზურები სომხები იყვნენ. ჯერ კიდევ საქართველოში შემოჭრამდე, შაჰმა ერეკლეს რუსების მიტოვება, მათთან კავშირის გაწყვეტა შესთავაზა და იფიცებოდა, სპარსელ შაჰებსა და ქართველ გვირგვინოსნებს შორის მეგობრობა საუკუნო იქნებოდა; მაგრამ ერეკლეს ამის გაგონება არ სურდა. „შაჰი თავისი ჯარებით კი არა, მთელი



სვეტიცხოველი. მეფე ერეკლე II-ის საფლავი

აზიაც თავს რომ დამატყდეს, რუსეთს არ ვუღალატებ“, - იყო ერეკლეს პასუხი. აღამაჰმად-ხანის წინადადებაზე. მეფე მტრებთან მოსალოდნელი ბრძოლისთვის მზადებას შეუდგა. მალემსრბოლებს აგზავნიდა საქართველოს ყოველ კუთხეში ბრძანებით, რომ ყველა მოლაშქრეს დედაქალაქისკენ ეჩქარა. ერეკლე გულგატეხილობას არ ეძლეოდა, არ ეშინოდა მტრის და ჰქონდა კიდევ ამის საფუძ-

ველი, რადგან რუსეთის სახით დიდი დამცველი, ხოლო იმერეთის მეფე, გურიისა და სამეგრელოს მთავრები მოკავშირეებად ეგულებოდა. მაგრამ მეფემ არ უწყობდა, რა საზიზღარი ღალატი ელოდა სომხებისგან, რომლებსაც ქართველ მეფეთაგან კეთილდღეობა არ აკლდათ. სომხებმა, მოსყიდვით, მოღალატეები არა მარტო საქართველოს გარეთ, არამედ ქართველებს შორისაც მოიძიეს.

ჯარები ჩამოსვლას აყოვნებდნენ. ერეკლეს მდგომარეობა დღითი დღე რთულდებოდა. წუთიერი სიმშვიდე მხოლოდ იმერეთის მეფის 3000 კაციანი მცირე ლაშქრის ჩამოსვლამ მოჰგვარა. რუსეთის მხრიდანაც დახმარებას ამოდ ელოდა და, ამის გამო, მის ხელთ მხოლოდ 7000 კაცისაგან შემდგარი ჯარი აღმოჩნდა. უფლისა და ქართველთა მამაცობის იმედით, ამ მცირერიცხოვანი ჯარის ამარა მტრის 70000-იანი ჯარის წინააღმდეგ გამოვიდა. მეფემ თბილისში კავთისხევის მონასტრიდან წმიდა ევსტათის წმიდა ნაწილების ჩამობრძანება და ხიდზე დასვენება ბრძანა, რათა წმიდანისადმი აღვლენილი ღოცვებით ღმერთისთვის გამარჯვება გამოეთხოვათ. გადამწყვეტი ბრძოლა თბილისის შორიახლოს, კრწანისის ველზე გაიმართა. ქართული ჯარები გამირობის სასწაულებს ახდენდნენ; მათ მტრის ჯარს რამდენჯერმე დაახევინეს, ართმევდნენ დროშებს. ამ უმაგალითო სიმამაცემ აღა-მაჰმად-ხანი აიძულა, შემდეგი რამ ეთქვა: „პირველად ვხედავ, რომ ჩემი მტრები ასე ვაჟკაცურად იბრძოდნენ“. საქმე იქამდეც მივიდა, შაჰმა სპარსეთში დაბრუნების ბრძანება გასცა და ჯარი უკან დასაბრუნებლად დაძრა. მაგრამ ამ დროს ერთი თბილისელი სომეხთაგანი – არარატიანცი შაჰს ეახლება, საქართველოს საქმეების მდგომარეობას მოახსენებს და არწმუნებს, უკან დაბრუნდეს; შაჰის რაზმის ნაწილს წაუძღვება და

სოლოლაკის გზით ჯარი საქართველოს დედაქალაქში შეჰყავს. ერეკლე ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. თბილისელ სომეხთა ღალატი მისთვის თვალსაჩინო გახდა, დაიხია და ჯარის შეკრების შესახებ ბრძანება ხელახლა დააგზავნა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

1795 წლის 12 სექტემბერს თბილისი აოხრდა. ეს იყო მისი რიცხვით 29-ე აოხრება. თბილისის განძეულობას ანადგურებდნენ, ხალხს ხოცავდნენ, შიიტების მეჩეთმაც კი ვერ შეძლო, გადაერჩინა შიგ თავშეფარებულები, 12-13 წლის ბავშვები ტყვეებად მიჰყავდათ, ქალაქი ძირფესვიანად დაანგრეს. მეფის ბრწყინვალე სასახლე, პავილიონი, სამეფო აბანოები, არსენალი, დივანხანა, სტამბა, ზარაფხანა და საერთოდ, ყველა სახელგანთქმული ნაგებობა, ზოგიერთი ტაძრის გარდა, მიწასთან გაასწორეს.

14 სექტემბერი ყველაზე შემზარავი დღე იყო თბილისელ მკვიდრთათვის; შაჰამდე მიაღწია ხმამ, თითქოს მეფე ერეკლე უმთავრესად სამღვდელოებამ წააქეზა, რათა სპარსეთის ხელისუფლება არ ეცნო. ეს იყო მიზეზი ბრძანებისა, ყველა სასულიერო პირისთვის თავი მოეყარათ და ეწამებინათ. ჯალათები მათ ხელებს უკრავდნენ და მაღლობიდან ყრიდნენ მტკვარში, რომლის ტალღებში მღვდელმსახურებმა სამუდამო განსასვენებელი ჰპოვეს, ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილ მიტროპოლიტ დოსითეოსს ხელი სტაცეს და საკუთარი სახლის ბანიდან გადააგდეს. გაძარცვული ეკლესიები დახოცილთა გვამებით იყო გადავსებული; სიონის ტაძრის საუცხოო კანკელი ცეცხლს მისცეს. სპარსელები ამით როდი დაკმაყოფილდნენ, ქართველები ავლაბრის ხიდზე დასვენებულ წმიდა ევსტათის ნეშტთან მიჰყავდათ და უბრძანებდნენ, ფეხით გაექელოთ და სიტყვიერად შერუაცხეყოთ სიწმიდე, მაგრამ თვითმხილველთა მონათხრობით,

დედაქალაქის ქრისტიანთაგან არც ერთმა ავაზაკთა მოთხოვნის შესრულება არ ინება. ყველა გაურჩეული, ხოლო შემდეგ მუსულმანთა მიერ ფეხით გაქედილი წმიდა ევსტათის ნეშტი მდინარეში გადაყარეს. ბაზარზე გოგონებითა და ახალგაზრდა ქალებით ვაჭრობდნენ; ხოლო გათხოვილი ქალები, სარფიანად რომ გაეყიდათ, ბავშვებს მკერდიდან გლეჯდნენ და ხოცავდნენ. საერთოდ, ისტორიკოსთა სიტყვებით, მუსლიმთა სიშმაგე ენით არ აიწერება. ალა-მაჰმად-ხანის სპარსი ისტორიოგრაფი აღიარებს, რომ საქართველოს დედაქალაქის გაჩანაგების დროს სპარსულმა ჯარმა ურწმუნო ქართველებს იმის მაგალითი უჩვენა, რასაც განკითხვის დღეს უნდა ელოდნენ. ალა-მაჰმად-ხანმა მცხეთაშიც ზუსტად იგივე ჩაიდინა და ერეკლეს შიშით, რომელიც ჯარის თავმოყრას ცდილობდა, მდიდარი ნადავლითა და 16 ათასი სული დატყვევებულით, უპირატესად, სილამაზით გამორჩეული ახალგაზრდა ქალებითა და გოგონებითურთ, სპარსეთისკენ დაიძრა.

ამ დარბევის შემდეგ საქართველოს სამეფოს დედაქალაქის მდგომარეობის აღწერისას, სულიერი ცხოვრებით განთქმული ამბროსი ნეკრესელი ხალხისადმი მიმართულ ერთ თავის სიტყვას ამატებს: „ერთმა ჩვენგანმა დაკარგა ქონება, მეორემ – ქმრები და ცოლ-შვილი, მესამენი დაობლდნენ, მეოთხენი – ჯვრისა და რწმენის მტრებთან უთანასწორო ბრძოლებში უდროოდ დაეცნენ. ეს ღვთისმშობლის მიერ არჩეული ქვეყანა ყველაზე მეტადაა დამცირებული,

ყველას მიერაა გათელილი, ყველასგანაა გულნატკენი“; მაგრამ ალა-მაჰმად-ხანს თბილისის გაჩანაგება ძვირად დაუჯდა. იგი მოკლა რჩეულმა ნუქერმა, წარმოშობით ქართველმა, მცხეთელმა საფარალი-ბეგმა 1797 წელს. მისმა სიკვდილმა არა მარტო ქართველები, არამედ ურიცხვ არაადამიანურ მხეცობათა შედეგად, მოთმინებადაკარგული ყველა ქვეშევდრომი გაახარა; ხოლო მკვლელმა სიცოცხლე ერთ-ერთი ქართული მონასტრის მორჩილად დაასრულა.

არა იმდენად წლებით, არამედ ქვეყნის უბედურებებითა და მისი მხრიდან პატივდებული სომხების ღალატით გულდამძიმებული და განადგურებული ერეკლე მეფე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე გიორგი კი ორ წლამდე მეფობდა და გარდაცვალებისთანავე (1800 წლის 22 დეკემბერი) ქართული სამეფო რუსეთის სამფლობელოებს მიუერთეს, რის შესახებაც 1801 წელს იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი გამოიცა.

თბილისის აოხრების სამწუხარო დღეების ასი წლისთავი ქართულმა საზოგადოებამ 1895 წელს კრწანისის ველზე უამრავი ხალხის თანდასწრებით, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს რწმენისა და სამშობლოსთვის თავგანწირული მართლმადიდებელი მეომრების პანაშვილით აღნიშნა.

„მწიგნობრობა ქართული“
წიგნი II
გვ. 248-255

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA



სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა!

დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი დღეა. ღვთის განგებით, დღეს ერთმანეთის გვერდით ვისხენიებთ ოთხ უდიდეს ისტორიულ პიროვნებას – წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს, კათოლიკოს პეტრეს და სამოელს. ანდრია მოციქულმა ქართველი ხალხი აზიარა წმიდა წერილს და სათავე დაუდო საქართველოში ქრისტეს წმიდა ეკლესიის დაფუძნებას, წმიდა მეფე ვახტანგმა მოიპოვა ავტოკეფალია და ახალ სიმაღლეებს აზიარა იგი; პეტრემ და სამოელმა კი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა განამტკიცეს.

„და იქცეოდა რად იესო ზღვის კიდესა მას გალილეადსასა, იხილნა ორნი ძმანი: სვიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია, ძმა მისი, ითხველიდეს რად სათხვევლითა ზღვასა მას, რამეთუ იყენეს მესათხველე“ (მთ. 4,18-19) – გვაუწყებს მათეს სახარება, წმიდისა დიდებულისა და ყოვლადქებული მოციქულის, ანდრია პირველწოდებულის შესახებ. შემდგომი ეპოქების საეკლესიო გარდამოცემები მოციქულ ანდრიას პროტოკლეტოსს უწოდებენ, რაც ბერძნულად პირველწოდებულს ნიშნავს.

წმიდა ანდრია წარმოშობით იყო ბეთსაიდადან და როგორც ვთქვით, იყო მეთევზე. იოანეს სახარება დამატებით გვამცნობს წმიდა ანდრიას შესახებ, რომ იგი თავდაპირველად დაემოწავა იოანე ნათლისმცემელს, და მას შემდგომ, რაც მან იესო ქრისტეზე იოანე ნათლისმცემლისაგან მოისმინა მოწმობა, „როგორც ღვთის ტარიგზე“, ქვეყნად განხორციელებულ მესიაზე, იგი პირველი პირველთაგანი აღმოჩნდა ქრისტეს თორმეტ მოწაფეთა შორის. მანვე, მომავალი დიდი სულიერი მისიისათვის, ერთგულად განაწყო და უფალ იესო ქრისტესთან მიიყვანა თავისი ძმა, სვიმონი, შემდგომ უფლის მიერ პეტრედ წოდებული (იოანე, 1,40-42).

ანდრია პირველწოდებული მოწამე იყო მაცხოვრის ყველა სასწაულისა, მათ შორის, ქრისტეს მიმდევარ ხუთი ათასთა დაპურებისა. წმიდა ანდრია პირველწოდებულმა უშუამდგომლა იერუსალიმში დიდებით შესულ უფალ იესო ქრისტეს სახანავად მისულ ბერძენთა ჯგუფს, რომლებიც იოანე ღვთისმეტყველის სახარებაში წარმართებად მოიხსენიებიან (იოანე. 12,20-23).

მას შემდგომ, რაც უფალმა და მაცხოვარმა ბრწყინვალე აღდგომისა და ამაღლების შემდეგ, სულიწმიდით განაბრძნო მოციქულები და ისინი მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში დაგზავნა სახარების საქადაგებლად. ანდრია პირველწოდებულს შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ხვდა წილად წმიდა წერილის ქადაგება. მან ქრისტიანულ რწმენაზე მოაქცია საბერძნეთი; გააქრისტიანა ბითინიაში, ელადაში, პონტოში, ტრაპიზონსა და მცირე აზიაში მცხოვრები ხალხები. გადმოცემის თანახმად, ანდრია პირველწოდებული კიევაძე მისულა, სადაც დნეპრისპირა მთის წვერზე ჯვარი აღუმართავს და უწინასწარმეტყველებია, რომ ოდესღაც „ამ მთაგორიან ადგილებში ღვთის მაღლი გაბრწყინდებოდა“.

ჩვენთვის, ქართველი მართლმადიდებელი

ქრისტიანებისათვის, ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელიც ქართველი ერის წინაშე გაწია ანდრია პირველწოდებულმა. შავი ზღვის მიდამოებში, თავისი მისიონერული მიმოსვლის უამრავი მოსულა „ქვეყანასა ქართლისასა, ვინაცა იგი დაჰყო უამრავი და მრავალნი განანათლნა სიტყვითა მოძღვრებისა მისისათა“... („საქართველოს სამოთხე“, გვ. 30). ამგვარად, პირველი საუკუნის პირველი ნახევრის ბოლო წლებში, ანდრია პირველწოდებულმა დააარსა პირველი ქრისტიანული თემები რითაც დასაბამი მისცა საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დაფუძნებას. ქართველი ხალხის გარდა, ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს სჯულზე მოაქცია საქართველოს სხვა მეზობელი ხალხები. ქრისტეს სჯულის მოწინააღმდეგეებმა იგი შეიპყრეს, აწამეს და ძელზე გააკრეს აქაიის პატარა ქალაქ პატრაში. მრავალი წლის შემდეგ, მისი წმიდა ნაწილები კონსტანტინე დიდის ბრძანებით გადაასვენეს კონსტანტინეპოლში და დაკრძალეს ლუკა მახარებლის გვერდით, წმიდა მოციქულთა ტაძრის საკურთხეველში.

ღღესვე, როგორც მოგახსენეთ, წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმიდა მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს. ვახტანგი შვიდი წლისა იყო, როცა მამამისი, მეფე მირდატი გარდაიცვალა. მეფის გარდაცვალებამ ხელი გაუხსნა საქართველოს მოძალადე მეზობლებს. ტახტის მპყრობელის გარეშე დარჩენილმა სახელმწიფომ, სპარსეთის ძალადობას ვერაფერი დაუპირისპირა. იმავე ხანებში ქართლს კალიასავით შემოესივნენ კავკასიონის გადაღმა ახლადამკვიდრებული ოსები, რომლებმაც მოაოხრეს და წარყენეს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხე. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ ისინი ვახტანგის მცირეწლოვანი ძის, სამი წლის მირანდუხტის ტყვედ წაყვანასაც არ მოერიდნენ.

მშვიდობა არც დასავლეთ საქართველოში სუფევდა. აფხაზეთის მხარე ციხე-გოჯამდე ბერძენთა ხელში გადავიდა: „მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა“, – გადმოგვცემს საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ ისტორიკოსი ჯუანშერი.

ამასობაში, სამეფო კარი ყოველმხრივ ზრუნავდა, აღეზარდა ღირსეული მემკვიდრე ტახტისა: „ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა.“ – მემატიანის სიტყვით, მან „სიყრმესავე დღეთა შეიყვარა სჯული ქრისტესი, უფროის ყოველთა მეფეთა ქართლისათა“.

და აი, თხუთმეტი წლის ვახტანგი იკავებს სამეფო ტახტს. მან სამეფო კარზე შეკრიბა ქართლის წარჩინებულნი და მიმართა ვითარცა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, „ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა“:

„მეფეთა და ერთა ზედა მოიწვევის განსაცდელი და ჭირი ღმრთისა მიერ, ცოდვათა მათთაგან. ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურება ღმრთისა და გარდაჰხდენ მცნებასა, მოაწვეს ჭირთა ესე ვითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩვენ ზედა; ვითარცა რა მამა კეთილი წურთინ შვილსა კეთილად, კეთილთა ზედა საქმეთა. და უკუეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თვისისასა, გუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა ისწავოს ყოველი კეთილი და იქმნას სახმარ კეთილისა. ეგრეთვე გუწურთნა ჩვენ ღმერთმან, დამბადებულმან ცისა და ქუეყანისამან“ (იქვე, გვ.147).

თექვსმეტი წლის ვახტანგმა ილაშქრა ოსეთში და სამაგალითოდ დასაჯა გათავხედებული ოსი მეზობელი. სამწლიანი მომქანცველი ბრძოლებით, მან ბერძენისაგან გაწმინდა აფხაზეთი. მუზარადზე მკელგამოსახული გოლიათი მეფე ვახტანგი შიშის ზარს სცემდა სპარსელებსაც, ყველა ჯურის მომხდურთაგან საქართველოს გათავისუფლების მიზნით, ვახტანგ გორგასალმა ბრძოლა გააჩაღა, უწინარეს ყოვლისა, თავისი ოპოზიციის წინააღმდეგ, – იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა სპარსელი დამპყრობლები.

სრულიად ახალგაზრდა ვახტანგ გორგასალმა გამოიჩინა ბრძნული წინდახედულობა და იშვიათი პოლიტიკური გამჭრიახობა. მან საქართველოს შიდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ გააჩაღა ბრძოლა.

უფალმა ინება, რომ ამ პერიოდში, ქართლში მღვდელმსახურებას ეწეოდნენ გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფეები: პე-

ტრე მღვდელი და სამოელ მონოზონი. ღვთის განგებით, ისინი ვახტანგ გორგასლის გარემოცვაში აღმოჩნდნენ, რამაც ბევრი რამ განაპირობა საქართველოს ეკლესიის მომავალ ისტორიაში. ამაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ისტორიკოსი ჯუანშერი „ვახტანგ მეფის ცხოვრებაში“.

იმხანად ბიზანტიის წინააღმდეგ წარმოებული ირან-საქართველოს ომის დროს, პეტრე მღვდელი ყოველმხრივ ცდილობდა, ვახტანგ გორგასალი ბიზანტიასთან სამეგობროდ შემოებრუნებინა, მაგრამ მის შეგონებას წარმატება არ მოჰყოლია. ხოლო ერთ დღეს წმიდა ვახტანგს სიზმარში გამოეცხადა წმიდა ნინო და გრიგოლ ღვთისმეტყველი. სიზმრისეულ ჩვენებაში, ვახტანგ მეფის მარჯვენა ხელთ ეპყრა პეტრე მღვდელს, მარცხენა – სამოელ მონოზონს. მათ იგი წარუდგინეს ნათლით გაბრწყინებულ წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველს. მეფემ თავიანი სცა „ნათელმოსილ ზეციერ მთავარს“, შემდეგ იგი ხელზე ემთხვია წმიდა მღვდელმთავარ გრიგოლს, რომელმაც მეფეს ორი გვირგვინი გადასცა და უბრძანა: პირველი თავზე დაედგა პეტრე მღვდლისათვის, ხოლო მეორე – სამოელ მონოზონისათვის. გამოხდა ხანი და პეტრე მღვდელი ქართლის პირველ კათალიკოსად აკურთხეს, სამოელი კი – მცხეთის ეპისკოპოსად.

თქვენი ყურადღება მიხდა მივაპყრო, ვახტანგ გორგასალსა და კათალიკოს პეტრე I-ს შორის გამართულ დიალოგს, რომელიც აღწერილია „ვახტანგ მეფის ცხოვრებაში“. შექმნილი პოლიტიკური ვითარებითა და ქართველთა დაცემული სულიერი ცხოვრებით შეწუხებული პეტრე, საყვედურით მიმართავს მეფეს: „ეკლესიანი ხორცთანი უფროს არიან წინაშე ღმრთისა, ვიდრე ეკლესიანი ქვათანი. ეკლესია ქვათა ოდესმე დაირღუეს, და აღაშენიან მითვე ქვითა; ხოლო ეკლესიანი ხორცთანი ოდეს დაირღვენ, ვერავინ შემძლებელ არს განკურნებად – ვერცა მკურნალი და ვერცა მეფე...“ პეტრეს სულიერმა შეგონებამ სწორი პოლიტიკური ორიენტაცია ააღებინა ვახტანგ გორგასალს.

წმიდა მეფე ვახტანგის მისია, ზემოთქმულის გარდა, იმაშიც მდგომარეობდა, რომ მისი მცდელობით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა. მის პირველ საჭეთმპყრობელად,

კონსტანტინეპოლის პატრიარქის აქტიური მხარდაჭერით, ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოსად დაადგინა წმიდა მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, მოწაფე, პეტრე მღვდელი. ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს ეპარქიათა მღვდელმთავრებად 12 ეპისკოპოსი აკურთხა, რის შემდეგაც ბიზანტიასთან კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა.

ვახტანგ გორგასალის ზეობის ხანა იმითაც იყო გამორჩეული, რომ ქვეყანაში სტრატეგიული ნაგებობების მშენებლობის გვერდით, ფართოდ იყო გაშლილი საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობა. მცხეთაში წმიდა ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის ნაცვლად იქ, სადაც დღეს დიდი სვეტიცხოვლის ტაძარია, ააგო ქვის მოზრდილი ტაძარი, სადაც წირვა-ლოცვას აღავლენდა საქართველოს დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი მამათმთავარი, კათალიკოსი პეტრე.

ვახტანგ გორგასალმა აღაშენა უჯარმა, თუხარისის, არტანუჯის, ახიზის ციხეები; წინაპირობა შექმნა დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოსატანად, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა, დაჩიმ განახორციელა.

502 წელს აღესრულა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი. აღსასრულის წინ მან თავისთან იხმო კათალიკოსი პეტრე, სამეფო ოჯახის წევრები და ერის წარჩინებულნი და მათ ანდერძი გაანდო. ეს ანდერძი ვრცელდება ყველა დროის საქართველოს შვილებზე:

„მე ესერა წავალ წინაშე ღმრთისა ჩემისა, და ვმადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა. აწ გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“ („ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. გვ.203).

უფალმა იესო ქრისტემ არ მოგვაკლოს საქართველოს შვილებს და ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს, ლოცვა-კურთხევა წმიდა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა მეფისა ვახტანგ გორგასალისა! ამინ!

MRVDELMOWAME GRIGOL V

KONSTANTINEPOLIS PATRIARQI



წმიდა მღვდელმთავრე გრიგოლ V, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ჭეშმარიტი მწყემსი ბერძენი ერისა, 1797 წელს ადასაყდრეს პატრიარქად. საბერძნეთისთვის უაღრესად დიდი განსაცდელის ჟამს, როცა თურქთა ბატონობით შეჭირვებული ბერძენი ერი და ეკლესია საკუთარ მეობას კარგავდა, გრიგოლ V-მ საპატრიარქო მოღვაწეობა დაიწყო შიდა საეკლესიო ცხოვრების და სამწყვსოს სულიერ-ზნეობრივი წარმართვით. მან დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე, ერის განათლებას და სასულიერო წოდების ღირსების აღდგენას.

წმიდა გრიგოლ V დაიბადა 1745 წელს პელეპონესში, სოფელ დიმიცინაში. მორწმუნე, ხელმოკლე ოჯახში. მისი მშობლები

იყვნენ: ნაგელოპუსი და ასიმინა პანალიოტოპულისი. დაწყებითი განათლება ბიძის, მღვდელმონაზონ მელეტის ხელმძღვანელობით მიიღო. უმაღლესი განათლება კი წმიდა გრიგოლმა ათენში განასრულა და ბერად აღიკვეცა სტროფადონის მონასტერში. მალე პატრიარქმა პროკოპმა იგი ეპისკოპოსად აკურთხა.

წმიდა გრიგოლი 12 წლის მანძილზე მოციქულებრივი მოშურნეობით წინამძღვრობდა სმირნის დიდ სამწყვსოს, რომელიც ბერძნული კულტურის ცენტრი იყო მცირე აზიაში. მისი ღვაწლით, მრავალი ეკლესია აღდგა; გაიხსნა სკოლები და გაჭირვებულთა დახმარების სისტემა მოეწყო. თურქული ექსპანსიით სულიერ წყვდიადს მიცემული ერისათვის, მან გამართა ტი-

პოგრაფია, სადაც მშობლიურ ენაზე იბეჭდებოდა წიგნები, რითაც ბერძენი ერის კულტურულ და სულიერ ცხოვრებას შეეწეოდა. წმიდა გრიგოლი მკაცრად იცავდა და თვალყურს ადევნებდა საეკლესიო კანონების აღსრულებას და სასულიერო პირთა მორალურ სიწმიდეს. მძიმე დროს მოუწია მას საჭეთმკერობელობა: 400 წელზე მეტხანს თურქეთის უღელქვეშ მყოფი ბერძნები მღვდლვარებას მოეცვა და საყოველთაო აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. პატრიარქი თავის სამწყემსო მოვალეობას აცნობიერებდა, ერისა და ეკლესიის წინაშე იგი ეროვნულ თვითშეგნებას განამტკიცებდა და იმავ დროს, ცდილობდა, რომ ხალხში მღვდლვარება ჩაეცხრო და ერი ფიზიკური განადგურებისაგან ეხსნა...

საპატრიარქო მსახურების წელიწადნახევრის შემდეგ, ეპისკოპოსებმა, რომლებსაც წმიდა გრიგოლი უღირსი საქციელისათვის ამხელდა, იგი სულთანთან დააბეზდეს. სულთანმა პატრიარქი გრიგოლი გადაასახლა ჯერ ქალკედონზე, ხოლო შემდეგ – ათონის წმიდა მთაზე, ივერთა მონასტერში, სადაც მან ისიხასტური ტრადიციის დამცველი ე. წ. კოლივადი მამები დაიცვა. ათონის წმიდა მთაზე მსახურების დროს, წმიდანმა ათონის ყველა მონასტერი მოილოცა; იგი ქადაგებდა ღვთის სიტყვას და ყველასათვის სამონაზვნო ცხოვრების მაგალითი იყო.

1806 წელს წმიდა გრიგოლ V კვლავ დააბრუნეს საპატრიარქო საყდარზე, რასაც კონსტანტინეპოლის ქრისტიანული მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა. მაგრამ 1808 წელს, როდესაც თურქეთის ხელისუფლებაში გადატრიალება მოხდა, სათავეში სულთან მუჰამედ II მოვიდა და წმიდა გრიგოლი კვლავაც განაშორეს საპატრიარქო საყდარს. იგი იძულებული იყო, წასულიყო კუნძულ პრინკიპოზე. შემდეგ – კვლავ ათონის წმიდა მთაზე დაიბანა და თვალყურს ადევნებდა მოვლენებს ეკლესიასა და ერში.

1818 წელს მას საბერძნეთის განმათა-

ვისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა მიმართეს, რომლებიც ამბოხს ამზადებდნენ და დაქსაქსული ძალების გაერთიანებას ცდილობდნენ. წმიდანი სიხარულით შეხვდა და მხარი დაუჭირა მათ, მაგრამ ნაადრევად მიიჩნია გამოსვლები და სთხოვა, სიმშვიდე შეენარჩუნებინათ, რადგან ჯერ ხელსაყრელი დრო არ იყო ამისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ წმიდა გრიგოლი კვლავ დააბრუნეს საპატრიარქო ტახტზე და ის დაუცხრომელ ღვაწლს შეუდგა. პირველ რიგში, სკოლებს და ბერძნულ ენაზე განათლებას მიხედა. დააარსა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც, მდიდრებისაგან მიღებული თანხით, გაჭირვებულებს ეხმარებოდა.

1821 წლის 1 თებერვალს ბერძნების აჯანყება დაიწყო. რასაც სისხლიანი რეპრესიები მოჰყვა: კონსტანტინეპოლში და ოსმალეთის დიდ ქალაქებში ყველა გამოჩენილი პირი, ვინც რაიმეთი იყო დაკავშირებული აჯანყებასთან, აწამეს; ოთხი ეპისკოპოსი დააპატიმრეს. როდესაც ხელისუფლებამ განკარგულება გასცა, ფანარაში გამოცხადებულიყო ყველა არისტოკრატი ბერძენი ოჯახი, პატრიარქი გრიგოლი მიხვდა, რომ ხალხის მასობრივი ტანჯვა დაიწყებოდა და იგი ხელისუფალთა წინაშე წარდგა თანამემამულეთა გარანტად. მისი საქციელით უკმაყოფილო იყო სულთანი. 31 მარტს პელეპონესში საყოველთაო აჯანყება გამოცხადდა. სამი დღის შემდეგ, ვნების შვიდეულის ორშაბათს, აჯანყების წინამძღვრები აწამეს. პატრიარქი მიხვდა, თუ რა ბედი ელოდა მას; მაგრამ უარი განაცხადა გაქცევის წინადადებაზე: „როგორ დავტოვებ ჩემს სამწყსოს? მე ხომ პატრიარქის წოდებას იმისთვის ვატარებ, რომ საცხოვრებელად წარვუძღვე ერს და არა იმისათვის, რომ ჩემი სამწყსო იანიჩართა ხმაღს დაეუგო. ჩემი სიკვდილი ქვეყნისათვის უფრო სასარგებლო იქნება, ვინემ ჩემი სიცოცხლე, რადგან ბერძნები თავგანწირვით იბრძოლებენ და გაიმარჯვებენ.“

1821 წლის 10 აპრილს წმიდა გრიგოლმა სახეიმოდ და მშვიდად ჩაატარა საადღო-მო წირვა. მსახურების დასასრულს მას პელეპონესში ამბოხის შესახებ აუწყეს, რაზეც პატრიარქმა თქვა: „აწ და მარადის აღსრულდეს ნება უფლისა!“ რამდენიმე საათის შემდეგ, იგი საპატრიარქო ტახტი-დან გადაყენებულად გამოაცხადეს. იანი-

გამოისყიდეს და დამცინავი შეძახილებით დაათრევდნენ ქუჩებში. ბოლოს ზღვაში ჩააგდეს. მიუხედავად კისერზე დაკიდებული მძიმე ქვისა, მოწამის სხეული ზედაპირზე ამოიტანა წყალმა. წმიდანის სხეული საბერძნეთის გემზე აიყვანეს და დიდხანს გახრწნის კვალიც არ ემჩნეოდა.

1871 წელს, ბერძენთა აჯანყების 50 წლისთავთან დაკავშირებით, წმიდანის ძვლები ათენის საკათედრო ტაძარში დიდი პატივით გადაასვენეს. წმიდა გრიგოლის ოფიციალური კანონიზაცია მოხდა 1921 წელს ელადის ეკლესიის მიერ.

წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ V-ის ცხოვრება და მოწამებრივი აღსასრული ეკლესიის პატრიოტული მოვალეობის აღსრულების ერთ-ერთი მაგალითია, როდესაც მართლმადიდებელი ერისა და სამშობლოსათვის – სამწ-



წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ V-ის განსასვენებელი

ჩრებმა ძალადობით შეაყენეს პატრიარქი ციხეში. დაკითხვისას და წამებისას იგი მდუმარებას იცავდა; რომელსაც მხოლოდ მაშინ არღვევდა, როდესაც მისგან სარწმუნოებისგან განდგომას ითხოვდნენ. ამაზე იგი პასუხობდა: „ქრისტიანი პატრიარქი ქრისტიანულად აღესრულება!“

თურქებმა საპატრიარქო ტახტზე მალე დაადგინეს მისი მონაცვლე; ხოლო ღვთისა და ერისათვის დამაშვრალ წმიდა გრიგოლს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. სიკვდილის წინ მოწამემ განიპყრა ხელნი და თქვა: „ხელთა შენთა შევვედრებ, უფალო იესო ქრისტე, სულსა ჩემსა“. წმიდა გრიგოლ V საპატრიარქო რეზიდენციის კარიბჭეზე ჩამოახრჩეს.

პატრიარქის სხეული, კისერზე საბრალდებო აქტით, სახრჩობელაზე სამ დღეს ეკიდა. შემდეგ მისი სხეული იუდეველებმა

ესოსათვის თავის დადება ღვთისმსახურებაა და ფილეტურ მწვალებლობასთან საერთო არაფერი აქვს.

ტროპარი

ერისა შენისათვის სული დასდევ და ევნე ქრისტეს ბრწყინვალესა აღდგომისა დღესა, წმიდაო მღვდელმოწამეო გრიგოლი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ჩვენთვის, რათა დაიცვას მართლმადიდებელი ეკლესია და ერი და წმიდათა ნაწილთა შენთაგან, მოგვანიჭოს მადლი და დიდი წყალობა. ამინ.

მოამზადა
მონოზონმა ანამ (ნიაურთ)

K O L I V A D E B I

თურქთა მიერ 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაპყრობამ, დიდი ძვრები გამოიწვია ბერძენთა სულიერი და კულტურული ცხოვრების მთელ რიგ სფეროებში. მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში ბიზანტიური მონოზენობა თანდათან შორდებოდა ისიქასტურ იდეებს, დაიწყო მთლიანი საღვთისმეტყველო ტრადიცია; მოიშალა ბიზანტიის იმპერიის განათლების სისტემა. წერა-კითხვის უცოდინარი, სულიერად დაკნინებული ხალხი, ორმაგი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: ისლამიზაცია და ლათინიზაცია თანაბრად ემუქრებოდა ბერძენ ერს. თუმცა, ლათინიზაცია, რწმენაში მსგავსებისა და დასავლეთელთა მაღალი კულტურული დონის გამო, ისლამისგან განსხვავებით, კიდევ უფრო სახიფათო იყო მართლმადიდებელი ერისათვის. ბერძენი არისტოკრატია განათლების მისაღებად შვილებს იტალიაში გზავნიდა, რის შედეგადაც ბერძნული საზოგადოების მაღალი ფენები ნელ-ნელა გაუცხოვდნენ საკუთარი ტრადიციების მიმართ. ეკლესიაც სერიოზული დასავლური გავლენის ქვეშ ექცეოდა.

მე-18 საუკუნეში, ქვეყნისა და ეკლესიის ისტორიის ამ ერთ-ერთ ურთულეს ეპოქაში, ათონის მთაზე საეკლესიო ცხოვრების აღორძინება დაიწყო, რომელსაც სათავეში წმიდა მთის ბერ-მონაზონთა ერთი ჯგუფი ჩაუდგა. მათ თავისი მოღვაწეობით (1754-1845 წწ.) დიდი როლი შეასრულეს, როგორც ეკლესიის მამათა ტრადიციებთან დაბრუნების, ისე ბერძენი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში, რომელიც 1821 წელს საბერძნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა.

წმიდა კოლივადი მამების სამოღვაწეო ასპარეზი ფართო და ყოვლისმომცველი

იყო. პირველ რიგში, ერის განათლებაზე ზრუნვა იყო საჭირო. წინა საუკუნეებში წმიდა კოზმას ეტოლოსის მიერ წამოწყებული საქმე (საერო სკოლების დაარსება), უმაღლეს დონეზე, ღირსეულად განაგრძეს წმიდა კოლივადებმა. ისინი წერდნენ სახელმძღვანელოებს (გრამატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის), გამოსცემდნენ და იკვლევდნენ წმიდა წერილსა და ეკლესიის მამათა (პირველ რიგში, წმიდა გრიგოლ პალამასის) შრომებს, წმიდანთა ცხოვრებასა და აკოლოთიებს (დაუჯდომლებს), საეკლესიო საგალობლებს.

კოლივადებად წოდებული მოშურნე მამები იღვწოდნენ ათონური გარდამოცემის, ისიქაზმის აღსადგენად და მართლმადიდებლური ტრადიციის ძირებთან დასაბრუნებლად. მათ ასკეტური ტრადიცია ააღორძინეს და ერს ხშირი ზიარებისკენ მოუწოდეს. კოლივად მამებს კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ განათლებული და რწმენაში გამყარებული ერი შეძლებდა წმიდა მამათა ტრადიციისა და ბერძნულ-მართლმადიდებლური კულტურის დაცვას.

XVIII-XIX საუკუნეების ბერძენ პოლიტიკურ, საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეთა შორის, მრავლად იყვნენ ევროპული კულტურის, ფრანგული განმანათლებლობის, ფრანგული რევოლუციისა და ჰუმანიზმის იდეათა სულისკვეთებით გაუღწეოთილი „მოღვაწეები“. კოლივადი მამები შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ ეს კულტურა წალეკვით ემუქრებოდა ბერძნულ ტრადიციებს; ამიტომაც, მათ თავიანთი შთამბეჭდავი პედაგოგიური და სამწერლობო მოღვაწეობა მიმართეს ისლამიზაციისა და ლათინიზაციის საფრთხეთა წინააღმდეგ და ამგვარად, როგორც ბერძენი ღვთისმეტყველი ათანასიოს ზოიტაკისი



წმიდა კოლივადი მამები

აღნიშნავს, ფაქტობრივად, თავად იქცნენ საკუთარი ხალხის მართლმადიდებლური სულისკვეთებით განმანათლებლად.

ევროპული ჰუმანიზმის მიმდევარნი კი კოლივადებს კონსერვატორებად, ყოველგვარი პროგრესულის მოწინააღმდეგეებად და თურქოფილებად მიიჩნევდნენ. კოლივადებს ათონის წმიდა მთის ბერ-მონაზვნებშიც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. მათ ერთხანს ივირონის მონასტერს შეაფარეს თავი; წმიდა მამები იძულებული გახდნენ, ათონის წმიდა მთა დაეტოვებინათ.

კოლივადების დევნის დაწყების საბაბი ერთი სრულიად „უწყინარი“ ფაქტი გახდა:

1754 წელს დიდ ლავრის სკიტში, წმი-

და ანას სავანეში, ახალი ცენტრალური ტაძრის მშენებლობა დაიწყო. ხარჯები, ძირითადად, მოსახსენებელთათვის გადაებული, საგრძნობლად დიდი შემოწირულობებით იფარებოდა. მიცვალებულთა ალაპები მთელ ათონის მთაზე მხოლოდ შაბათ დღეს იკითხებოდა. ამავე დღეს იმართებოდა კარიესში (ათონის ადმინისტრაციულ ცენტრში) სამშენებლო მასალით ვაჭრობაც. ამდენად, წმიდა ანას სავანის ბერები ყოველ შაბათ დღეს ადრე ტოვებდნენ მონასტერს, რათა დროულად ევაჭრათ და მალევე მობრუნებულიყვნენ უკან. ამის გამო, ისინი ვერ ასწრებდნენ დადგენილი ალაპების კითხვას. ამდენად, მიცვალებულთა მოსახსენიებლების წაკითხვა კვირა დღეს გადაიტანეს, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოშურნე ბერებში.

წმიდა მამებს „კოლივადები“ მოწინააღმდეგეებმა შეარქვეს ირონიულად. ეს, სახელწოდება (Κολλυβάδες) მომდინარეობს სიტყვიდან κολλύβια (კოლიო) და „მეკოლიოებს“ აღნიშნავს. ეს რა თქმა უნდა, მიზეზი იყო. „ანტიკოლივადები“ ამგვარ წვრილმანზე ყურადღების გამახვილებით ცდილობდნენ გადაეფარათ წმიდა მამათა ღვაწლი – თითქოს ისინი მცირე, უმნიშვნელო საკითხებით იყვნენ დაკავებული, როგორც იყო ალაპების კითხვა და მიცვალებულთათვის კოლიოს გაკეთება. წმიდა ნიკოდემოს მთაწმიდელი წერდა, რომ: „ბევრს მათი არ ესმის, სხვათა გამოძახილს ესმინებიან და შეურაცხყოფენ მათ“.

წმიდა კოლივად მამათა შორის თავიანთი ღვაწლით გამოირჩეოდნენ ეკლესიისა და ერის დიდი მასწავლებლები: წმიდა მაკარიოს ნოტარასი, წმიდა ნიკოდემოს მთაწმინდელი (1749-1809) და ათანასიოს პაროსელი (1722-1831), ნეოფიტოს კაფსოკალიბიტისი (1713-1784), ნიფონ ქიოსელი (†1810). მათ გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და იოანე ღვთისმეტყვე-



ათონი. წმიდა მართალი ანას სკიტი

ლის დარად, დიდი და სახელოვანი მოღვაწეების ახალ სამეუღლად მიიჩნევენ.

კოლივადებთან დაკავშირებული შფოთი წმიდა გრიგორიოს V-მ (1818-21) ჩააცხრო. 1818 წელს ამ უკანასკნელმა გამოსცა კოლივადების მხარდამჭერი წერილი და დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება სცადა. მსგავსი წერილები გამოაქვეყნეს მომდევნო წლებში პატრიარქებმა გრიგორიოს VI-მ (1835-1840) და ანთიმოზ V-მ (1845-1848).

წმიდა კოლივადი მამები მომავლის – ჩვენი დღეების ღამპრად იქცნენ. უდიდესი ღვაწლისთვის, წმიდა ეკლესია მათ წმიდა მაქსიმე აღმსარებლის, წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა და წმიდა გრიგოლ პალამასის გვერდით მოიხსენიებს.

წმიდა მაკარიოს ნოტარასის მიერ შედგენილმა და წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელის მიერ რედაქტირებულმა კრებულმა - „ასკეტ მამათა ფილოკალია“ (სათნობათმოყვარეობა), ბიძგი მისცა ფილოკალიური აღორძინების მოძრაობას, როგორც საბერძნეთში, ასევე მთელ მართლმადიდებელ სამყაროში.

ეს წმიდა მამები საეკლესიო ტიპიკონის დაცვას ემსახურებოდნენ. სწორედ კოლივადებს უნდა ვუმაღლოდეთ ეკლესიაში სამოციქულო, წმიდა მამათა მიერ გარდამოცემის დაცვას: გონიერი ღოცვის, ისიქაზმის პრაქტიკას, მოღვაწეობა და პირადი გამოცდილება – მართლმადიდებლობის ამ მარადიულ და უცვლელ შემადგენელ ნაწილს.

წმიდა კოლივად მამებს ეკლესია პატივს ბრწყინვალე შვიდეულის შაბათს მიაგებს.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

ρωτοπρεσβύτερος Θεόδωρος Ζήσης, ΤΟ ΚΙΝΗΜΑ ΤΩΝ ΚΟΛΛΥΒΑΔΩΝ ΚΑΙ Η ΠΡΟΣΦΟΡΑ ΤΟΥ.

Αρχιμανδρίτης Νικόδημος Σκρέττας, ΚΟΛΛΥΒΑΔΕΣ ΚΑΙ ΘΕΙΑ ΛΑΤΡΕΙΑ.

Афанасий Георгиевич Зоитакис, ТРАДИЦИОННОЕ ПРОСВЕТИТЕЛЬСТВО В ГРЕЦИИ В XVIII В.: КОСМА ЭТОЛИЙСКИЙ И НИКОДИМ СВЯТОГОРЕЦ

ფილ. მეცნ. დოქტორი
მაია კაკაშვილი

SAMONOVNO SESAMOSELI

შავი სამონოზონო შესამოსელი ზოგში მწუხარებას და სინანულს აღძრავს, ზოგშიც – გაურკვევლობას, და კითხვებს ბადებს: რით განსხვავდება სამონოზონო შესამოსელი ჩვეულებრივი, საერო ტანსაცმლისაგან და რატომაა იგი შავი ფერისა? აქვს თუ არა მას რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა?

წმიდა მამათა სწავლებით, მონოზონი, ვითარცა იესო ქრისტეს სათნო მხედარი (მა. ტიმ. 2.3), საგანგებო შესამოსელით იმოსება: „მსგავსად სამხედრო სამსახურს შედგომილი ჯარისკაცისა, რომელიც ძველ ტანისამოსს ტოვებს და სამხედრო სამოსლით დადის. როგორც პავლე მოციქული ამბობს: „შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღუთისა, რათა შეუძლოთ თქვენ წინააღმდეგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა“ (ეფეს. 6.11). გარდა ამისა, მონაზონის შავი შესამოსელი ცოდვებზე სინანულს, მწუხარებას, ღვთის დაკარგული სასუფევლისათვის გლოვასაც გამოხატავს. წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვი წერს: ლამაზი, თვალში საცემი სამოსელი, საკუთარ მკედარ სულზე მოტირალისათვის შეუფერებელია; მას უფრო შავი შესამოსელი შეეფერება, რომელსაც ადამიანები ღრმა მწუხარების გამოსახატავად იცვამენ.

სამონოზონო შესამოსელის მნიშვნელობას შესანიშნავად განმარტავს ძველი მწერალი და მოღვაწე, მღვდელმთავარი სიმონ თესალონიკელი: „მონაზონობის უწმიდესი სქემა გლოვას, თავმდაბლობას და თავის უარყოფას გამოხატავს; იგი სახეა ცხოვრებისა, რომელიც ვერ ჰგუობს ქვეყნიურ საზრუნავს, რომელიც სიტყვითაც და საქმითაც განშორებულია ამსოფლიურ მიკერძოებას და უცხოა მისთვის. ამიტომ მოსავს მუქი ფერი მონაზონს. მას აქვს ხსენება სიკვდილისა. ის არ ცხოვრობს ამქვეყნიური ცხოვრებით, არამედ, უხრწნელი ცხოვრებისკენ ისწრაფის შეძლებისდაგვარად. ამიტომაც, პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტ მონოზონს ამქვეყნადვე ძლიერ უყვარს ქრისტე;

ისე, რომ ვერაფერი ვერ განაშორებს მას ქრისტეს სიყვარულს: „ვინ განმაშორნეს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან, ანუ ურვამან, ანუ მახვილმან, ვითარცა წერილ-არს, რამეთუ შენთვის მოვსწყდებით ჩვენ მარადღე“ (რომ. 8,35).

ამრიგად, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ სრულად სამონოზონო შესამოსელი შავი ფერისაა. და მისი სამოსელის ყოველ შემადგენელ ნაწილს თავისი სიმბოლური მნიშვნელობა გამოარჩევს. განვიხილოთ ისინი იმ თანმიმდევრობით, როგორითაც მონოზონი აღკვეცაზე იმოსება.

უპირველეს ყოვლისა, ესაა – **ჯვალო ანუ კვართი**. დღეს ასე ეწოდება უბრალო ქსოვილისაგან შეკერილ გრძელ პერანგს. ადრე კი ქსოვილი აქლემის ბეწვისა და ცხვრის მატყლისგან იყო დართული (სწორედ აქედანაა რუსული სიტყვა „Власяница“ ანუ „ბეწვისგან დართული“). კვართს იცვამდნენ შიშველ სხეულზე, და უხეში ბეწვი ძლიერ ჩხვლეტდა, რაც მუდმივად ახსენებდა მონოზონს, რომ მას უდრტვინველად უნდა დაეთმინა ამა სოფლის ყოველგვარი სირთულე, ადამიანთაგან გმობა, ყოველგვარი ჭირი და უბედურება.



კვართი
(პერანგი)

იღუმენი, როცა ადასრულდება აღკვეცის წესს, მომავალ მონოზონს კვართის ზემოდან აცმევს საბეჭურს (პარამანს). ესაა პატარა ოთხკუთხა ნაჭერი, რომელზეც გამოსახულია ჯვარი და ქრისტეს წამების სხვა იარაღები. მასზე ასევე წარწერილია წმიდა პავლე მოციქულის სიტყვები გალატელთა მიმართ ეპისტოლედან: „საწერტელნი იგი უფლისა იესოსნი ხორცთა შინა ჩემთა მიტვირთავნ“ (გალატ. 6,17).

აღკვეცის წეს-განგების მიხედვით, **საბეჭური (პარამანი)** წინდია ანგელოზებრივი სქემისა; იგი სიმბოლოა უხრწნელებისა, სიმდაბლისა და ქრისტეს უღელის ტვირთვისა; რათა აღესრულოს თავად მაცხოვრისაგან თქმული: „რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თვისი, აღიღენ ჯვარი თვისი და მომდევდინ მე“ (ლუკა. 9,23).



საბეჭური (პარამანი)

საბეჭურთან ერთად მონოზვნად აღკვეცილს დაჰკიდებენ **უბრალო ჯვარს** (ჩვეულებრივ, ხისას), სახსენებელად მაცხოვრის მიერ ჯვარზე დათმენილი ვნებებისა და ნიშნად იმისა, რომ მონოზონი შეუდგება ქრისტეს და იტვირთავს საკუთარ ჯვარს, ყოველგვარ ტანჯვათა და მწუხარებათა დათმენით.

შემდეგ სამონოზვნეს შემოსავენ **შავი ფერის კაბით**, რომელიც მონაზონს ნებაყოფილებითი უპოვარებისათვის საკუთარ ალთქმას შეახსენებს და ასევე, პავლე მოციქულის ნათქვამს: „არამედ და შეცავრაცხო ყოველივე ზღვევად გარდამატებულისა მისთვის მეცნიერებისა ქრისტეს იესუსის უფლისა ჩემისა, რომლისათვის ყოვლისაგან ვიზღვიე და შემირაცხიეს იგი ნაგევად, რაითა ქრისტე შევიძინო“ (ფილიპ. 3,8).



კაბა

სიმბოლური დანიშნულება აქვს მონოზვნის **სარტყელს**. ღირსი ამბა დოროთეს განმარტებით, ეს არის სიმბოლო იმისა, რომ მონოზონი მუდამ მზად უნდა იყოს სამოდვაწეოდ; რადგან ამა თუ იმ საქმის შედგომამდე, ჯერ სარტყელით

შემოვირტყამთ წელს და შემდეგ უკვე საქმეს შევუდგებით ხოლმე. უფალიც ამას გვაუწყებს: „იყვნედ წელნი თქვენნი მორტყმულ“ (ლკ.12,35).



სარტყელი

აღსანიშნავია, რომ ძველად სარტყელი კეთდებოდა მოკლული ცხოველის ტყავისაგან და შესაბამისად, ეს ხორცის მოკვდინების სიმბოლოდაც მიიჩნევა; მონოზონს შეახსენებდა აგრეთვე მოციქულის სიტყვებს: „მოაკუდინენით უკუე ასონი თქვენნი ქუეყანასა ზედა: სიძვაი, არაწმიდებაი, ვნებაი, გულის თქუმაი ბოროტი და ანჰვარებაი, რომელ არს კერპთმსახურებაი“ (კოლას.3,5).

მონოზვნის შემდეგი შესამოსელი არის **ანაფორა, ჩოსა**,

რომელსაც სამონოზვნო წესგანგების მიხედვით, ეწოდება „პერანგი სიხარული-სა და მხიარულებისა“. ეს შესამოსელი სიმბოლოა ყოველგვარ განსაცდელთა და მწუხარებათაგან განშორებისა. ანაფორა, არის აგრეთვე სიმბოლო მოუკლებელი სულიერი მხიარულებისა, რაც მონოზონს სულიწმიდის მადლით ენიჭება, მორჩილების ალთქმის აღსრულების შემდეგ, და რასაც იგი უფალთან ახლო სულიერ ურთიერთობაში კვლავ შეჰყავს.



ანაფორა (ჩოსა)

მონოზვნად აღკვეცილს შემოსავენ აგრეთვე **მანტიით**, რომელსაც აღკვეცის წესგანგებით „ცხოვნების პერანგი“ (კვართი) ეწოდება, ან – „უხრწნელებისა და სიწმიდის სამოსელი“. ის, ერთის მხრივ, ასახავს უფლის დამცავ, მფარველ ძალას და ამასთანავე – მონოზვნის მიერ არჩეული ცხოვრების წესის განუხრედად მიდევნას. მანტია უსახელოა, რაც იმას

ნიშნავს, რომ ამა სოფლის საქმეებისათვის, ე.ი. ცოდვისათვის, მონოზონს არ აქვს ხელეები თავისუფალი და არც სხეულის სხვა ასოები. გარდა ამისა, მანტია არის ძალიან ფართო, რითაც იგი გვაგონებს ფრთოსან, სწრაფმოქმედ ანგელოზებს



მანტია

და აღნიშნავს იმას, რომ მონოზონიც, ანგელოზის მსგავსად, მზად უნდა იყოს ნებისმიერ ღმრთისათნო საქმის მყისიერად აღსასრულებლად. „მიყვარს, სწრაფად რომ აღესრულება ყოველივე. მონოზონები არიან ანგელოზები, ისინი უნდა დაფრინავდნენ,“ – ამბობდა სათნოთმოყვარების თანამედროვე მოღვაწე, მლოცველი და აღმსარებელი, მთავარეპისკოპოსი ანტონი (გოლინსკი-მიხაილოვსკი). ამაზევე ითქმის: „შეიმოსეთ ყოვლად-საჭურველი იგი ღმრთისაი, რაითა შეუძლოთ თქვენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისაი დაიდგოთ და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი“. (ეფეს. 6, 11, 17). წმიდა მამები მანტიას აღარებდნენ სამხედრო მოსახსამს, „რომლითაც მეფის მებრძოლებს ცნობდნენ. მანტიაც, მსგავსადვე, არის ნიშანი იმისა, რომ მონოზონი არის ქრისტეს მხედარი და ამიტომაც მოვალეა დაითმინოს ყველა ტანჯვა, რომელიც ქრისტემ ჩვენთვის დაითმინა“. წმიდა მამა აბა დოროთე ამბობს: „რამეთუ უფალმან ჩვენმან ოდეს ივნო, პორფირი შემოსეს მას...“

შემდეგ სამონაზვნეს აცმევენ სანდლებს, „რათა განუხრეღად მიისწრაფოდეს

იგი სახარების გზით; ისე, თითქოს ზეცად ისწრაფოდეს, სადაც მისთვის განკუთვნილ, ზეციურ ცხოვრებას ეწევა“ – ამბობს ეკლესიის მამა, სიმეონ თესალონიკელი.

და ბოლოს, მონოზონს ეძლევა **სკენილი**, რომელსაც, აგრეთვე, სულიერი მახვილიც ეწოდება. მონოზონს მართებს დღედაღამ მოუკლებლად ილოცოს იესოს ლოცვა: – „მიიღე, ძმაო, სულიერი მახვილი, რომელიცაა სიტყვა უფლისა, იესოს მიმართ განუწყვეტელი ლოცვისათვის. რაითა უფალ იესო ქრისტეს სახელს გონებო-



სკენილი

თა და გულით ატარებდე და ბაგეზეც მარადის გეკეროს სიტყვები: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემოწყალე მე, ცოდვილი“. წმიდა მამა ეგნატე ბრიანჩანინოვის თქმით, განუწყვეტელ ლოცვაში წვრთნა ყოველი მონოზვნის ვალია. რომელსაც მას აკისრებს უფლის მცნება და სამონოზვნო აღთქმა. ხოლო წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ძმებო, გევედრებით, ნურასდროს შეწყვეტთ ამ ლოცვითი წესის აღსრულებას და ნუ მისცემთ თავს უფლებას, რათა უბუღებელყოთ იგი. მონოზონი, საზრდელს იღებს იგი თუ სასმელს, უქმად ზის თუ აღასრულებს მორჩილებას გზაშია, თუ სხვა რაიმეს აკეთებს – გამუდმებით უნდა დაღადებდეს: „უფალო იესო ქრისტე ძეო ღმრთისაო შემოწყალე მე ცოდვილი.“ რათა გულის იღუმად სიღრმემდე მიღწეულმა უფალ იესოს სახელმა, დაიმორჩილოს იქ დაბუღებული გველეშაპი და იხსნას და ცხოველყოს სული თვისი. დაე, მარადის გახსენდებოდეს უფალი იესუს სახელი, მოიცვას გულმა უფალი და უფალმა გული და დაე ერთ-იყვნენ ორივე ისინი“.



ლენჩაქი

(ვარშამანგი, კუბასტი)

მონოზონს აღკვეცისას ეძლევა აგრეთვე **ჯვარი და სანთელი**. ჯვარი, როგორც რწმენის სიმბოლო, რომელიც გვაგონებს უფლის სიტყვას: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდგენ მე“ (მათე. 16,24); ხოლო სანთელი – სიმბოლოა იმისა, რომ ახლად აღკვეცილი თავისი წმიდა და ღმრთივსათნო ცხოვრებით „ნათელი“ უნდა იყოს „ამა სოფლისა“, როგორც ამბობს უფალი: „თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი, ვერ ხელ-წიფების ქალაქსა და ფარვად მთასა ზედა დაშენებულსა.“

აღკვეცის წესში, შესამოსელთა შორის არის **კუნკული**, და **ღეჩაქი** (ქალი მონოზონისთვის), ხოლო **კუნკულ-ბარტყული** (ბერ-მონოზონისთვის) როგორც ხსნის ჩაფხუტი და სასოება ურცხვენელი, თანახმად მოციქული პავლესი: „შევიმოსოთ ჯაჭვი იგი სარწმუნოებისა და სიყვარულისა და ჩაფხუტი იგი სასოებისა“ (თეს. 5,8). და სხვაგან კიდევ წერია: „... ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგით და მახვილი სულისა, რომელიც არის სიტყუად ღმრთისა“ (ეფეს. 6,17). კუნკული არის პატარა წვეტიანი ქუდი; მსგავსი იმისა, რასაც თავზე ახურავენ ხოლმე ჩვილებს. ხოლო მონოზონისთვის კუნკული არის ხსენება ჩვილის სადარი უბოროტების მოხვეჭისა. „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე. 18,3). ჩვილი უბოროტოა, თუ აწყენინებენ – ის არ გაწყრება, თუ წაართმევენ რაიმეს – არ ნადვლობს, თუ შეაქებენ – არ ამპარტავნებს. შეურაცხყოფისათვის შურს არ იძიებს და არც სახელსა და დიდებას არ ეძიებს. კუნკული ღმრთის მადლის ნიშანიცაა. მსგავსად ჩვილის თავსაბურისა, რომელიც მას ათბობს, კუნკული ათბობს მონოზონს და ღმრთის მადლიც ფარავს მის გონებას, ლოცვაში შემწეა მისი და ვნებებთან წინააღმდეგობით დაპირისპირების დროსაც.

ასეთია შესამოსელი იმათი, ვინც მცირე სქემაში ანუ მანტიაში აღკვეცის ღირსი გახდა; ხოლო რომელთაც მიიღეს დიდი სქემა, ისინი შეიმოსავენ ანალავს და დიდ საბეჭურს.

ანალავი ანუ დიდი სქემა – ესაა დიდსქემოსანის შესამოსელი, წინ და უკან ჯვრისებური, რაც ჯვრის გადასახვას მიაჩნებებს; უფრო ზუსტად – ის თავად ასახავს ჯვარს

და სიმბოლოს წარმოადგენს ამა სოფლისა და ყოველივე ამსოფლიურის მიმართ სრული სიკვდილისა.

დიდსქემოსნის საბეჭური მცირესქემოსნისაგან განსხვავდება. ის დიდი ზომისაა და მოიცავს მრავალ ჯვარს (სულ 40 ნაქსოვ ჯვარს).

ამრიგად, სრულად სამონაზვნო შესამოსელი მონოზონისთვის აუცილებელ სათნოებებზე მიუთითებს: ყოველთა ჭირთა და მწუხარებათა უდრტვინველად დათმენაში, უფალ იესო ქრისტეს მიბაძვა, უწყინარობა, ურისხველობა, ყოვლისმომტეველობა, ქალწულება და ცხადია – მოუკლებელი ლოცვა. ამათ გარდა, ღირსი სიმეონ თესალონიკელი წარმოგვიდგენს კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ შედარებას. იგი ამბობს: „რაკი მონაზონი, როგორც რომ მკვდარია ამა სოფლის ცხოვრებისათვის, მისი მანტია, შეიძლება ითქვას, კუბოს სიმბოლოა; ხოლო ჯვალთა კი – დაკრძალვისათვის არის განკუთვნილი. კუნკული ასახავს თავის სახვევ სუდარას, პარამანი კი, სხვა შესამოსლითურთ ასახავს მაცხოვრის ჯვარცმის ვნებებს. მონოზონიც ხომ, როგორც რომ ჯვარს ეცმის ამა სოფლისთვის და შესაბამის აღთქმასაც ამბობს. და, საერთოდაც, მონოზონი, – მათ შორის დიდსქემოსანიც, სრულ შესამოსელში ემსგავსება ჩვენთვის ჯვარცმულ და სახვევებითა და სუდარაში დასაკრძალად გახვეულ უფალს. ეს ყველაფერი მუდმივად შეახსენებს მონოზონს მის მთავარ მიზანს – საერო ცხოვრებისათვის უფალთან თანაჯვარცმით და აღდგომით, ენით აუწერელი სულიერი ნეტარების თანაზიარად ყოფნას, იმ განცდას, რომლისთვისაც ამბობს პავლე მოციქული: „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუვარეთა თვისთა“ (კორ. 2,9).

მონოზონთადმი მიმართვაში ღირსი აბა დოროთე აღნიშნავს: „მაშასადამე, ჩვენი შესამოსელის შესაბამისად უნდა ვიცხოვროთ, რადგან, როგორც მამები ამბობენ, ისე არ აღმოჩნდეს, რომ ჩვენ უცხო შესამოსელს ვატარებთ (აქ იგულისხმება სულიერი სიკვდილი, რომელიც ჯერ კიდევ სამოთხეში ეწია ჩვენს წინაპრებს, რომლებიც ღვთის მადლს მოაკლდნენ).

რუსულიდან თარგმნა:
ვილ. მეცნ. დოქტორმა
ირინა გარაყანიძემ

LOCVISATVIS

(ათონელი ბერების სწავლებიდან)

სქიარქიმანდრიტი კირიკე ათონელი (1938):

ღვთის შეწევნა სიტყვით ან გონებით უნდა ვითხოვოთ უფლისაგან: „უფალო, გვაკურთხე! უფალო, შეგვიწყალე“; ხოლო უკეთუ ღვთისაგან შეწევნას არ ვითხოვთ და ისე აღვასრულებთ რაიმეს, მაშინ ამით, მხოლოდ ჩვენს სულიერ სიამაყეს წარმოვაჩენთ და ღმერთს შევეწინააღმდეგებით, რომელიც განკითხვის უამს ეტყვის მისგან კურთხეულთ: „მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი“; ხოლო მათ, ვისაც ღვთის კურთხევის ბეჭედი არ ექნება, ეტყვის: „განვედით ჩემგან, არა გიცნით თქვენ...“

აი, რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ღვთის სახელის მოხმობა და უფლის კურთხევის მიღება ყოველ ჩვენს საქმეზე, წმიდა წერილის კითხვის წინ და უმეტესად კი, ღოცვის დაწყებისას განსაკუთრებით ღოცვის დაწყების წინ უნდა ვითხოვოთ ღვთის კურთხევა.

წმიდა პავლე მოციქული ამბობს: განუწყვეტლად ილოცევდით და ყოველსავე სადიდებულად უფლისა იქმოდეთ, რადგან ეს სასურველია და სათნო უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა, იესო ქრისტესათვის.

„განუწყვეტლად ილოცევდითო“, – ეს როდი ნიშნავს, რომ დავდგეთ წმიდა ხატების წინაშე და დღე და ღამ ვლოცულობდეთ; თუმცა კი განკუთვნილ დროს ღოცვად უნდა დავდგეთ. ღოცვა შეიძლება ყოველი საქმისთვის და ეს გემართებს კიდევ. როგორც წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ღოცვა მჯდომარეც შეიძლება, ოღონდ გონება კი ღვთის მიმართ უნდა აღვმართოთ, რომელიც ხელავს გულსა და

გონებასა ჩვენსა“. მაშასადამე, საყოფაცხოვრებო საქმეების კეთებისას (ურომლისოდაც ვერავინ იქნება), შეიძლება და მოვალენიც ვართ, რომ ვილოცოთ და ხილული, ჩვენს მიერ აღქმული ნივთიერი სამყაროდან, ჩვენი გონება უნდა გადავიტანოთ ღვთის უხილავ სახელზე...

განა შეიძლება, რომ ამოდმეტყველებას მიხვეულ ადამიანს ღოცვის სურვილი გაუჩნდეს? საიდან მოუვა მას ღოცვის მადლიანი სიტყვა, როდესაც მისი ენა მხოლოდ ამო და ფუჭი სიტყვების ფრქვევას არის მიხვეული.

ბერი იოსებ ისინასტი (1898-1959):

ღოცვა ყურადღებისა და გონებრივი სიფხიზლის გარეშე – დროის დაკარგვა და ფუჭი შრომაა.

ღოცვა არის ერთადერთი შეწევნა, რომელიც გონების გაწმენდაზე მოქმედებს. სულიერი ცხოვრება ღოცვის გარეშე შეუძლებელია; ხოლო გონების პყრობა-მოკრება და წმიდა ღოცვა არავის ხელეწიფება, უკეთუ ღვთის მადლიანი და სულიერი ნების განგება არ მოიწვევს ან არა ამქვეყნიური გზით არ მოვა ღვთის მადლი. აქედან გამომდინარე, მოღვაწემ უნდა იცოდეს, რომ ღოცვისას იგი თავად კი არ იკრებს გონებას, არამედ ღვთის მადლით, იგი წმიდად ღოცულობს; ხოლო მადლიანად მლოცველმა უნდა უწყოდეს, რომ ეს მისგან კი არ არის, არამედ ღვთისგან მოგვეცემა, და ღმერთს უნდა მადლობდეს და სხვებსაც უნდა ასწავლიდეს, რომ ჩვენ იმ საშუალებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომლებიც ჩვენს ხე-

ლთაა და ღმერთს წმიდად ლოცვის ჩვენი განზრახვა და სურვილი უნდა ვუჩვენოთ. მაგრამ მოგვეცემა თუ არა – ეს ღმერთზეა დამოკიდებული.

როდესაც შენი მოვალეობის – ლოცვის აღსრულებას შეუდგები, მაშინ დიდი სიმდაბლით, ღვთისადმი წყალობის თხოვნით შეუდგე ლოცვას, და არა ისე, თითქოს ღმერთია შენი მოვალე და ვაღდებულები, რომ მაღლი მოგცეს. არამედ გულისხმა გქონდეს, რომ შენ ხარ ტყვე და ითხოვ მაღლს, რომ განგათავისუფლოს, და ამისათვის მიმართავ:

„მეუფეო, უფალო ჩვენო, იესო ტკბილო, ქრისტე! გარდამოავლინე მაღლი შენი წმიდა და განმათავისუფლე მე ცოდვათა საკრველთაგან. განანათლენ სულისა ჩემისა წყვდიადი, რაითა განვიცადო უზომო მოწყალებანი შენი და რაითა შევიყვარო და ღირსებით გმადლობდე შენ, მაცხოვარსა ჩვენსა ყოვლადტკბილსა, რომელი ღირს ხარ ყოვლისა სიყვარულისა და ყოველთა სამადლობელისა. ჰოი, მოღვაწებისა ჩემისა შემწეო და მრავალმოწყალეო, უფალო! ნუ განმაშორებ ჩვენგან წყალობათა შენთა, არამედ მოგახედენ ქმნულთა შენთა ზედა. უწყი უფალო, სიმძიმე ცოდვათა ჩემთა, არამედ ვუწყი განუზომელი მოწყალებაცა შენი, და ვხედავ სულისა ჩემისა უგრძობელობის წყვდიადსა, არამედ სასოებაჲ მაქვს და მოველი ღმრთაებრივსა ნათელსა და დახსნასა ხორცთა ჩემთასა საცდურთაგან და მომაკვდინებელთა ვნებათაგან, მეოხებითა უტკბილესისა შენისა დედისა, დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და ყოვლადწმიდისა მარიამისათა. ამინ!“

არ შეწყვიტო ღვთისადმი ვედრება, სულის უკანასკნელ აღმოფშვინვამდე და ღმერთს ხელეწიფება შენი ვედრების აღსრულება, რომლისა არს დიდება და მეუფება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ბერი სოფრონი სახაროვი (1890-1993):

ლოცვა უსასრულო ხელოვნებაა, რომელიც ყველა სხვა ხელოვნებასა და მეცნიერებაზე აღმატებულია.

შენ შეიძლება სთქვა, რომ ახლა აღარ არიან ისეთი ბერები, რომლებიც მთელი ქვეყნისათვის ილოცებენ; ხოლო მე გეტყვი, რომ: როცა დედამიწაზე მლოცველები აღარ იქნებიან, მაშინ ქვეყნიერების აღსასრულიც დადგება და დიდი დაქცევაც დაიწყება... ქვეყანა წმიდათა ლოცვით დგას.

ბერი პაისი ათონელი (1924-1994):

– მამაო, როგორ უნდა მოვემზადოთ ლოცვისათვის?

– ისე, როგორც საღმრთო ზიარებისათვის ემზადები. იქ ზიარებაა, აქ – საღმრთო ურთიერთობაა. როდესაც ვეზიარებით, ჩვენში ქრისტეს ვიღებთ, საღმრთო მაღლი მოდის. ლოცვისას კი ჩვენ გამუდმებულ ურთიერთობაში ვართ ქრისტესთან და სხვა სახით ვღებულობთ საღმრთო მაღლს – განა ეს ცოტაა?! ზიარებისას ჩვენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს ვეზიარებით; ლოცვისას – ღმერთთან ვურთიერთობთ და როგორც ზიარების წინ არის აუცილებელი მოძღვართან აღსარება, ასევე ლოცვის დასაწყისში გვმართებს, რომ სიმდაბლით აღვუაროთ ქრისტეს: „ღმერთო, მე არარაობა ვარ... არ ღირს, რომ ჩემთვის გაისარჯო, არამედ გვევდრები, შემეწიე მე!“ ასე მოდის საღმრთო მაღლი და იხსნება ღმერთთან ურთიერთობის გზა.

უკეთუ ადამიანი არ შეინანებს და არ აღუარებს ღმერთს სიმდაბლით, მაშინ განუმზადებელი დარჩება. და აღიმართება კედელი, რომელიც ღმერთთან მის ურთიერთობას დააბრკოლებს. კარი დახშული იქნება და სული განსვენებას ვერ ჰპოვებს; ხოლო თუ ადამიანი იტყვის: „ვცოდე, უფა-



ლო ჩემო!“ – მაშინ კედელი ინგრევა ან, უკეთ რომ ვთქვათ, ღმერთი კარს ადებს და ადამიანი ღმერთთან ურთიერთობის მაღლს იღებს.

– მამაო, „კიბისადმწერელში“ წავიკითხე, ლოცვისათვის ისეთი სამოსლით უნდა შეიმოსო, როგორც ადამიანი მეფესთან წარსადგომელად ემზადებაო. რა სამოსელია ეს?

– ეს არის ღვთის წინაშე უღირსად თავის შერაცხვა და ცოდვათა შენდობისათვის სიმდაბლით ვედრება: „ცოდვილი ვარ მე უფალო და უმადური, განგანაწყენე და შემინდევ მე ცოდვილსა“; მაგრამ ეს შინაგანი შემუსრვილებით უნდა სთქვა და არა გარეგნულად. ეს არის ის სამოსელი, რომლითაც უნდა იმოსებოდე, როდესაც ღმერთს ესაუბრები და თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ შენი საუბარი ღმერთთან ასეთი იქნება: „როგორაა საქმე, რა არის ახალი?“ უკეთუ ადამიანებისაგან ვითხოვთ შენდობას, რომელთა წინაშეც ჩვენ ვცოდეთ, განა ღვთისადმი ვედრება უმეტესად არ გვმართებს, ჩვენი ყოველდღიური ცოდვების მოსატყვევებლად?!

– ე. ი. მამაო, ჩვენ ყოველდღიურ ცოდვებზე უნდა ვიფიქროთ?

– პირველ ყოვლისა, ღმერთს იმ ცოდვების მოტყვევა სთხოვე, რომლებიც დღის

მანძილზე ჩაიდინე და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრე, ზოგადად, შენს მიერ ჩადენილ ცოდვებზე. შენ ასე მდაბლდები და შემდგომ, უკვე, შენი სურვილების გამოხატვას იწყებ. მე ლოცვას ამ სიტყვებით ვიწყებ: „ღმერთო, მოწყალე იყავ ჩემ ცოდვილსა ზედა“ (ლუკ. 18,13). ამას რამდენჯერმე ვიმეორებ ჩურჩულით და შემდეგ ვიწყებ ლოცვას. ერთხელ ღმერთს ვთხოვე, რომ ლოცვა ესწავლებინა ჩემთვის და მაშინ, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი ვიხილე, რომელიც ლოცულობდა. მისმა ხილვამ შემძრა; მისმა ტირილმა და ლოცვამ გამოგნა და შემადრწუნა. მან აღსარებით დაიწყო: „უმადური ვარ და გამოუსწორებელი...“ შემდეგ ამბობდა: „ღმერთო ჩემო, ასეთ მდგომარეობაში მყოფმა, მე, თავით ჩემით, რა შემიძლია ვუყო საკუთარ თავს, უკეთუ შენ არ შემეწევი?“ და შემდეგ იწყებდა თხოვნა-ვედრებას.

– მოძღვარო, ლოცვისას, ხშირად, საკუთარ ცოდვებზე ვფიქრობ, რის გამოც ყურადღებას ვერ ვიკრებ.

– ჩვენ ხომ უკვე ვთქვით, რომ თავის გამოცდა (გამოკვლევა) და საკუთარი ცოდვების აღიარება, ლოცვის დაწყებამდე უნდა და არა – ლოცვისას. თორემ სხვანაირად, თვითკრიტიკა კი არ გამოვა, არამედ – თამაში.

ლოცვის დაწყებამდე უნდა დავეფიქროდეთ ჩვენს ნაკლოვანებებზე და ამისკენ უნდა მივმართოთ გონება; „მიზანში უნდა ამოვიღოთ“ ჩვენი ესა თუ ის ნაკლი და ... „ცეცხლი გავუხსნათ!“

ბერი ევრემ ფილოთეველი:

როდესაც ადამიანი ლოცულობს, მაშინ იგი ღვთისგან კეთილსუნნელებას და მადლს იძენს და მისი ანგელოზიც იქვე, მასთან ერთად ლოცულობს; ევედრება ადამიანი უფალს და ანგელოზიც ავედრებს მას: „ღმერთო ჩემო, შეისმინე მისი ლოცვა, აღუსრულე მას, რაოდენსაც ითხოვსო.“ და თუ ჩვენს ლოცვას ცრემლი და სინანულიც ახლავს, მაშინ ანგელოზი ხარობს, რამეთუ მას ღვთის წინაშე დიდი კადნიერება აქვს, ასეთი მშვენიერი სულისათვის, ასეთი მშვენიერი ადამიანისათვის.

ვილოცოთ ქრისტიანი ძმებისათვის, რათა მათაც ჰპოვონ ცხონების გზა. სწორედ ეს არის მოყვასის ქმედითი სიყვარულის მოწმობა. და თუ ჩვენ ნამდვილად გვიყვარს ძმა ჩვენი, მაშასადამე, ღვთის საქმეს აღვასრულებთ, რამეთუ „ღმერთი სიყვარული არს, ხოლო სიყვარულში მყოფი – ღმერთში მყოფობს და ღმერთი – მასში“.

ლოცვით აღჭურვილნი ეგოიზმს უნდა ვებრძოლოთ. და, შეძლებისამებრ, ღამი-

თაც კი არ უნდა შევწყვიტოთ ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

სულის გარეშე სხეული იხრწნება, ყროლდება და ინფექციის წყაროდ იქცევა. ასევე ემართება სულსაც, როდესაც მასში ლოცვა არ არის. გონების თვალთა წინაშე მუდამ უნდა გვექონდეს მიზანი თუ როგორ აღმოვფხვრათ ჩვენში დასადგურებული ეს ცხოველი – ეგოიზმი, და გამუდმებით უნდა ვილოცოთ. ლოცვის კეთილსუნნელება უნდა ვასხუროთ ჩვენს მცირე ტაძარს, რომელიც არის ადამიანის სული და ხორცი. სულითა და ხორციით უნდა ვადიდებდეთ უფალს.

ლიტერატურა:

1. სქეარქიმანდრიტი კვირიკე ათონელი „Царский путь ко спасению.“ 1938.
 - 2.Старец Иосиф Афонский „Изложение монашеского опыта. Старец Иосиф Афонский,“ изд –во, 1998.
 3. Архимандрит Софроний „О молитве“ СПб. 1994.
 4. Старец Силуан. 1952.
 - 5 Ефрем Филофеиский - „Искусство спасения“. М., „Святая Гора,“ 1912.
- www. ogionogos.ru

რუსულიდან თარგმნა
მონოზონმა ანამ (ნიაური)



~ G V I R G V I N I ~

„ქველის მოქმედებისა და მოწყალებისათვის“ (თავი მესამე)

თუ ვითარ გლახაკთ მიმცემი ქრისტესა მისცემს

იყო კაცი ვინმე კონსტანტინეპოლში მდიდარი და ფრიად მოწყალე; რომელმან მარადის ჰყვის ქველის საქმე ყოველსა ადგილსა და უბანთა ქალაქისათა, სლვასა მისსა მისდევდიან რა სიმრავლე გლახაკთა. ხოლო იგი ვითომ განსდევნიდა მათ და განიშორებდა, მაგრამ ხელთა შინა მათსა შთაუდებდა მოწყალებასა. ამისათვის ჰყოფდა ამას, რამეთუ ენება კაცთაგან დაფარვა ქველის საქმისა თვისისა და ოდეს მარტო მყოფი იხილავდა გლახაკს, ამბორს უყოფდა ხელსა და ესრეთ მისცემდა მოწყალებასა. ხოლო ჰყვა ვინმე მას სარწმუნო მეგობარი. და ჰკითხვიდა მას, თუ „ვითარ იქმენ შენ ეგრეთ მოწყალე?“ და მან მიუგო და ეტყოდა: „ოდეს ვიყავ მე მცირე, ვითარ ათისა წლისა, შევედ ეკლესიასა ლოცვად, ვიხილე ბერი ვინმე სულიერი, რომელი ჰქადაგებდა და ასწავებდა ერსა მეტყველი, ვითარმედ: „რომელი მისცემს გლახაკსა, ქრისტესა ავასხებს.“ ხოლო მესმა რად ესე, არა მრწმენა მოძღურებად მისი, რამეთუ განვიზრახე თავსა შორის ჩემსა, ვითარმედ მასმიეს მე ქრისტესთვის ცათა შინა ზის მარჯუნით მამისა და ვითარ ქუეყანასა ზედა ივასხებს? და ამას რა ვიგონებდი, წარვედ შინ სახიდ ჩემდა. და ვიხილე გლახაკი ძონძებში მოსილი და მოარული. და თავსა მისსა ზედა სდგა საცნაურად უფალი ჩუენი იესო ქრისტე. და ვითარ გლახაკი იგი ვიდოდა, მოწყალესა ვისმე შეემთხვია და მისცა მან პური. და ვითარცა გაუწოდა ხელი გლახაკმან გამორთმევად პურისა, და აჰა, სახემანცა მაცხოვრისამან მიჰყო ხელი თვისი ხელისა მიმართ მიმცემელისა. და მოიღო ხელისა მისისაგან პური. და მისცა მას კურთხევად პირისპირ დალოცვად; ხოლო ესე რად ვიხილე მე, მრწმენა, რამეთუ

„რომელი მისცემს გლახაკსა, ქრისტესა მისცემს.“ და აწცა ვხედავ სახესა მას უფლისადასა ჩვენისა იესო ქრისტესსა თავსა ზედა გლახაკთასა მდგომარესა. და მისთვის გარემოცულ ვარ შიშითა ღუთისადათა და შინაგან ადესილი სიყვარულითა. და ესრეთ ვჰყოფ მოწყალებასა სურვილით, ძალისაებრ ჩემისა, რამეთუ მოწყალებად არა გლახაკთა არს მიცემად, არამედ ქრისტესა, რომლისა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე.

მესტვირისათვის, რომელი მოწყალებისა მიერ ცხონდა

იყო ვინმე მონაზონი უდაბნოსა შინა ქუეყანასა ირაკლი თებაიდისასა სახელით პაფნოტი, რომლისათვის მრავალნი ფრიადსა ქველის საქმესა და მაღალსა სათნოებასა მოგვითხრობდეს. ესე პატიოსანი მამა, შემდგომად მრავალთა შრომათა, ევედრა ღმერთსა, გამოცხადებად მისა თუ რომელთა წმიდათა მსგავს არს. ხოლო გამოუჩნდა მას ანგელოსი უფლისადა და არქუა „მსგავს ხარ შენ მესტვირისა ვისმე, რომელი ქალაქსა შინა იყოფის.“ ხოლო პაფნოტი მსწრაფლ წარვიდა მესტვირისა მიმართ და ეტყოდა „ვინ ხარ შენ, ძმაო? და ვითარ არს ცხოვრება შენი?“ ხოლო მან არქუა – „ფრიად ცოდვილ, მტაცებელ და მემთვრალე ვარ მე, მამაო პატიოსანო! და მცირედ ოდენ ჟამი არს ვინადგან მოვევე თავსა ჩემსა და ავაზაკობისაგან გამოვედ.“ კუალად გამოეძიებდა მისგან პაფნოტი და ეტყოდა „ნუ უკუე კეთილი რადმე გიქმნიეს ძმაო?!“ ხოლო მან ჰქრუა „არა რად კეთილი მიქმნიეს, უფალო ჩემო, გარნა ამისა, რამეთუ ოდეს ავაზაკობასა შინა ვიყავ, ორნი ქრისტეს მოყუარენი შეიპყრნეს ავაზაკთა – მოყუასთა ჩემთა. ხოლო მე განვარინენ იგინი ღამით და სოფლადმდე წარუშარეთ მათ. და კუალად ოდესმე ვპოვე დედაკაცი

ფრიად შუენიერი, შეცდომილი უდაბნოსა ადგილსა და მტირალი მწარედ. ხოლო მე ვკითხევი მიხეზსა ტირილისა მისისასა.“ და მან მრქუა: „ნუ მკითხავ მე უბადრუკსა რადსამე, უფალო ჩემო! არამედ, ვითარცა მხევალი შენი, წარმიყუანე სადაცა გნებავს; რამეთუ ქმარსა ჩემსა მრავალგზის ჰგუემდენ ორწელ, ვახშისათვის სამასისა ოქროსა. და შეაგდეს საპყრობილესა და სამთა შვილთა განმსყიდველ ვიქმნენით. და ამისათვის ვიქმენ მე მავალ ადგილითი-ადგილად. და აწ უდაბნოსა ამას ვრონინებ, რათამცა მრავალგზის ვიპოვე მე მათგან და ვიგუემებოდი წამ და წამ. და აჰა, სამი დღე ვარ აწ უდაბნოსა ამას შინა უჭმელი. ხოლო მე ესე რად მესმა, შევიწყალე იგი და წარვიყვანე ქუაბსა ჩემსა და დაუგე მას ჭამადი და მივეც სამასი ოქრო. და მივიყვანე იგი ქალაქადმდე და განვათავისუფლე მოვახშეთაგან, ქმრით და შვილებითურთ. მაშინ მიუგო პაფნოტი: „მე თავით თვისით არა რად უწყოდი შენთვის, ძმაო, გარნა სასმენად ჩემდა იქმნა, რამეთუ დიდებულ ხარ და არა რათ ჩემსა უდარეს ხარ, რომელსა მრავალნი წელნი ფრიადითა შრომითა უდაბნოსა შინა დამიყოფიან. აწ ნუ უდებ იქმნები შვილო, რამეთუ გამომიცხადა მე ღმერთმან შენთვის, რათა არღარა შეაჭირვო სულსა შენსა.“ ხოლო მან მეყუსეულად განაგდო სტვირი და საგალობელი თვისი და შეუდგა მას. წარვიდა უდაბნოსა და სამ წელ კეთილად შურებოდა მოღუაწეობითა, ღოცვითა და გალობითა. ცხოვრებაჲ თვისი ადასრულა და სანატრელსა მას ცხოვრებასა საუკუნესა მისწრაფა და გუნდსა წმიდათასა შეეძინა, იესოს ქრისტეს მიმართ ღუთისა ჩუენისა, რომლისა არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე.

ათასისთავისათვის, რომელი მოწყალებამან საპყრობილით იხსნა

ქალაქსა ტიბერიისასა იყო ვინმე ათასისთავი, სახელოვანი და დიდებული, და მოშიში ღუთისა. იგი მოგვითხრობდა და იტყოდა, ვითარმედ: „წარგზავნილ ვიყავ რომელსამე ქალაქსა საქმისა რაისათ-

ვისამე სახელმწიფოსა. და მუნ ყოფასა ჩემსა, მოვიდა ვინმე დედაკაცი შუენიერი და დიდებულთაგანი და ითხოვდა ჩემგან ქუელის საქმესა და ცრემლითა მხურვალთა იწყო ტირილად და იტყოდა: „შემიწყალე მე, უფალო, ღუთისათვის, რამეთუ დიდსა ჭირსა შინა ვარ“. ხოლო მე ვიწყე კითხუად მიხეზი ტირილისა მისისა და მან კუალად ტირილით მრქუა მე, ვითარმედ „ქმარი ჩემი ვაჭარი იყო, უფალო ჩემო, და დელუათა შინა ზღვისათა წარუწყმდა მონაგები თვისი და სხუათაცა მრავალთა. და აწ მოვახშეთაგან არს იგი საპყრობილესა შინა და მე კართა კარად მიმოვალ მოწყალებისათვის, რათამცა მოვითხოვო პური და გამოვზარდო“. ხოლო მე ვკითხე მას, ვითარმედ: „რად არს თანანადები ქმრისა შენისა, დედაო!“ და მან მრქვა – „ხუთი ლიტრა ოქრო“. ხოლო მე აღვიდე ოქრო ხუთი ლიტრა და მივეც მას და ვარქუე: „მიიღე ოქრო ესე, დაო ჩემო, და გამოიხსენ ქმარი შენი და ევედრე ღმერთსა ჩემ ცოდვილისათვის.“

შემდგომად ერთისა წლისა იქმნა ჩემთვის ცილისწამებით შესმენაჲ მეფისა მიმართ, ვითარმცა წარმეწყმიდოს ხარკი. წარმიდეს ყოველი სიმდიდრე სახლისა ჩემისა და წარმომიყვანეს მეცა კონსტანტინეპოლს და შემაგდეს საპყრობილესა. და ვიყავ მუნ ერთ წელ ერთითა ოდენ კვართითა. და მეტყოდენ დღეყოველ, ვითარმედ: „ჰნებავს მეფესა სიკუდილი შენი, სხვათა საწრთველად.“ და სასოწარკვეთილ ვიქმენ ცხოვრებისაგან ჩემისა და ვიწყე ტირილად. ხოლო ტირილისა და გოდებაჲსა შინა ჩემსა მიმეძინა და ვიხილე დედაკაცი იგი, რომელსა მივეცი ხუთი ლიტრა ოქრო და მრქუა მე: „რად არს უფალო ჩემო, და რადსათვის შეპყრობილ ხარ აქა?“ ხოლო მე ვარქუე: „შესმენილ ვარ და ვგონებ სიკუდილი ნებავს ჩემი მეფესა.“ და მან მრქუა მე „წარვიდე მეფისა მიმართ, რათა განგიტეოს შენ.“ და ვითარცა განვიღვიძე, ვერ მრწმენა ხილვაჲ იგი და კუალად მწუხარე ვიყავ. და მეჩუენა მეორესაცა დამესა იგივე და მეტყოდა: „ნუ გეშინინ, უფალო ჩემო, და მე განგიტეო შენ.“ და ხუალიდან ბრძანა

მეფემან მიყვანება ჩემი წინაშე მისა. და მიმიყუანეს პალატსა მეფისასა და ოდეს შევედ, ვიხილე მეფე და აჰა, დედაკაცი იგი, მდგომარე მარჯუენით მეფისა და ჩემდა მომართ მხიარულად მხედველი. და ბრძანა მეფემან ყოვლისა მონაგებისა ჩემისა მოცემად ჩემდავე, რომელი წარმოვლთ სახლისაგან ჩემისა, და სხვისაცა ნიჭისა მრავლისა ბოძებად და განწესებად ადგილსავე ჩემსა. და აღმიყვანეს პატივსაცა, რათა ვიყო მე ყოველთა ათასისთავთა განმგებელი. ხოლო კუალად მას ღამესა მეჩუნა მე იგივე დედაკაცი და მრქუა: „უწყია, უფალო ჩემო, თუ ვინ ვარ მე? მე იგი ვარ რომლისა თანა შენ ჰყავ წყალობად და მომეც ხუთი ლიტრა ოქრო და გამოიხსენ ქმარი ჩემი საპყრობილისაგან და სიკუდილისა, მიგელის ცხოვრებად საუკუნო“. მიერთვან უმეტესსა ჰყოფდა მოწყალებასა გლახაკთა, პყრობილთა და ყოველთა ჭირვეულთა ზედა და იხსენებდა სიტყუასა მას, „ვითარმედ, საპყრობილესა ვიყავ და მოხუდით ჩემდა“ და აღიდებდა ღმერთსა უკუნითი უკუნისამდე.

ჭეშმარიტისა მოწყალისათვის, რომელმან იხსნა სული კაცისა წარწყმედისაგან

ალექსანდრიასა შინა პავლე პატრიარქისა ზე ქალი ვინმე დაშთა ობლად, ხოლო მშობელთა მისთა დაუტევეს მონაგები მრავალი. დღესა ერთსა ვენახსა თვისსა ვიდოდა ქალი იგი და იხილა კაცი განმზადებული მოშობად თავისა თვისისა. მიისწრაფა და ჰრქუა: „რასა ჰყოფ, ჰოი კაციო?!“ და მან ჰრქუა მას: „ქალწულო! ნუ მკითხავ მე, რამეთუ მრავალსა შეჭირვებასა შინა ვარ.“ ეტყოდა მას ქალი იგი: „მითხარ მე ძმაო, მიზეზი უკეთუ შესაძლებელ იყოს ჩემდა შეწვენა.“ ხოლო მან ჰრქუა: „მრავალთა ვახშთა თანამდებ ვარ, დედოფალო ჩემო, და ვიტანჯები მათგან. აწ მეგულების მოშობად თავისა ჩემისა და მოსწრაფედ სიკუდილი.“ ჰრქუა მას ქალმან: „წარმოვედ ჩემთანა, ძმაო, და რაოდენი მაქუს საფასე, აღიდე და მიეც მოვახშეთა შენთა. და გვედრები, ძმაო, ნუ ეგრეთ წარიწყმედ თავსა შენსა

სულითურთ.“ წარიყუანა და მისცა ყოველივე, რაცა აქუნდა და განათავისუფლა იგი საცხოვრებელად სულისა და ხორცთა წარწყმედისაგან. და თვით ნაკლულევან იქმნა და არცაღა თუ დაუშთა რადმე, რომლითა გამოზრდილ იყო; არამედ წარვიდა მონასტერსა ქალწულთასა და შემდგომად მრავლისა ღუაწლისა, დასნეულდა იგი ფიცხელითა საღმობითა. და ამასცა რა მადლობით მოითმენდა, მოვიდა ანგელოზი უფლისა სახითა მის კაცისათა, რომელი იხსნა მოშობისაგან და მსახურებდა მას. ესე მრავალგზის იხილეს დათა მისთა სულიერთა და განუცხადეს პატრიარქსსა. მოვიდა პატრიარქი და ჰრქუა მას: „მშვიდობა შენდა ასულო! მაუწყე მე თუ რად კეთილი გიქმნიეს?“ ხოლო მან ჰრქუა: „მე რა კეთილი მიქმნიეს, გლახაკსა და ცოდვილსა, მეუფეო წმიდაო?“ კუალად ეტყოდა მას პატრიარქი: „ყოვლადვე არა რად უწყია, შვილო, თავისა შენისა კეთილის ყოფა?“ ხოლო მან ჰრქუა: „არა რად, მეუფეო წმიდაო, თვინიერ მისსა, რამეთუ ვიხილე ვინმე მოშობად განმზადებული მძლავრებისაგან მოვახშეთასა. და ყოველივე მონაგები ჩემი მივეცი მას და ვიხსენ იგი.“ და ვითარცა ესე სთქუა, სული თვისი განწმედილი ხელთა შინა ღმრთისადთა შევედრა და ანგელოზისა წინამძღვრობითა ზეცისა სავანესა განისუნა. მაშინ პატრიარქი და რომელნი იყუნეს მის თანა აღიდებდეს ღმერთსა და სთქვეს: „მართალ ხარ შენ, უფალო, და სიმართლით არიან მსჯავრნი შენნი,“ რამეთუ არა ვის წარუწყმედ კეთილისა საქმესა, დიდება შენდა, უკუნითი უკუნისამდე.

მემტილისათვის, რომელი მოწყალებისა ძლით განიკურნა

იყო ვინმე მემტილე (მებაღე), სახელით იოანე, ფრიად მოწყალე უცხოთა და გლახაკთა მიმართ, რამეთუ მუშაკობდა ბაღსა შინა და ყოველსა ნამუშაკევსა თვისსა მისცემდა ქუელის საქმედ, თვინიერ კმასაყოფელისა თვისისა; ხოლო უკანასკნელ შთაუდვა ეშმაკმან გულსა მისსა, ვითარმედ: „შეიკრიბე მცირე ვეცხლი, რათა

ოღეს დაბერდეს ანუ საღმობიერ იქმნე, გაქუნდეს სახმარად შენდა“; და ვითარცა შეიკრიბა მან ვეცხლი, შეემთხვა საღმობა ფერხისა და სიმპალე. და მისცა ვეცხლი იგი მკურნალთა და ვერ შეუძლეს კურნებად. ხოლო უკანასკნელ მოვიდა ხელოანი მკურნალი და რქუა: „უკეთუ არა მოიკუეთოს ფერხი ესე დამპალი, ყოველი გუამი შენი განირყუნას.“ და ენებათ ხვალისად



იგავი მდიდრისა და ღაზარეს შესახებ
Codex Aureus Epternacensis, 1035-1040 წლები

მოკუეთად ფერხი იგი. ხოლო მას დამესა შესწუხნა ფრიად და შეინანა, რომელი ჰქმნა. და სულთითქუნა და ტირილით იტყოდა: „მოიხსენე, უფალო, პირველნი საქმენი ჩემნი, რომელთა ვიქმდი და მივსცემდი ქუელის საქმედ და შემეწყალე მე!“ ამას რა იტყოდა, წარმოუდგა მას ანგელოზი ღუთისა და ჰრქუა: „სადა არს ვეცხლი იგი, რომელი შეიკრიბე?“ მაშინ გულისხმა ჰყო და სთქუა: „გცოდე, მოწყალეო ღმერთო, და მომიტევე მე! და ამიერთგან არღარა დავსდუა სასოებად ჩემი ვეცხლისა მი-

მართ, არამედ უფლისა ღმერთისა ჩემისა!“ მაშინ ანგელოზმან შეახო ფერხსა მისსა და მეყუსეულად განიკურნა. ხოლო აღსდგა ხვალისად და წარვიდა ბაღსა თვისსა სამუშაკოდ. მოვიდა მკურნალი მოკუეთად ფერხისა და სთქუა: „სად არს იოანე?“ და ჰრქვეს მას: „განთიად წარვიდა თვისსა ბაღსა სამუშაკოდ.“ განცვიფრდა მკურნალი და წარვიდა ხილუად მისსა. და იხილა იგი, რამეთუ ბარვიდა მიწასა ფერხითა მით, რომლისა ეგულვებოდა მოკუეთად. და ადიდებდა ღმერთსა, მეტყუელი „ნეტარ იყუნენ მოწყალენი, რამეთუ ივინიცა ღმერთმან შეიწყალნენ,“ რომელსა ჰმუენის დიდებად უკუნითი უკუნისამდე.

სერაპიონისთვის უპოვარისა

ღირსი მამა ჩუენი სერაპიონი იყო სიყრმითგან მონაზონ. და არა იძია სოფლისა ამის სიმდიდრე, არამედ ესრეთ იყო ცხოვრებად მისი, ვითარცა ერთისა მფრინუელთაგანისა, რამეთუ სრულიად არა რასა მოიგებდა: არცა სახლსა, არცა სხუასა რასამე; არამედ საბლარდნელი ერთი ოღენ შეემოსა და მცირე სახარება ეტვირთა და ესრეთ ვიდოდა, ვითარცა უხორცო. ხოლო მრავალგზის იპოვის იგი გარე დაბისა გზისასა ზედა, მჯდომარე და მწარედ მტირალი. და ჰკითხვიდეს მას მეტყუელნი: „რასა უკუე სტირ ბერო?“ და იგი მიუგებდა მათ: „ღმერთმან ჩემმან მარწმუნა სიმდიდრე თვისი და წარვსწყმიდე იგი უდებებითა ჩემითა და ეგულების ტანჯვა ჩემი.“ ხოლო მსმენელნი ჰგონებდეს თუ ოქროსა იტყვის, ანუ ვეცხლსა. და მისცემდეს მას პურისა ნატეხსა და ეტყოდეს: „მიიდე ესე, ძმაო, და სიმდიდრესა, რომელსა იტყვი, ძალუძს ღმერთსა წარწყმედულისადა მოცემად შენდა!“ და მიუგებდა ბერი: „ამინ!“

ხოლო ოღესმე წარვიდა ეგვიპტედ და შეემთხვა შიშუელსა გლახაკსა ზამთრისაგან ათროთლებულსა. და დასდგა და იწყო განზრახვად: „ვითარ უკუე მე მონაზონი ვარ და მუშაკი ქრისტეს მცნებათა, რომელ სამოსელი მმოსიეს მე და ესე გლახაკი უფროსდა ქრისტე შიშუელი,

სიცივისა მიერ მოკუდების ჭეშმარიტად?! უკეთუ დაუტეო მოსიკუდიდ, ვითარცა კაცის მკვლელი დავისჯები. და დღესა მას საშინელსა მეტყვის ქრისტე: „შიშუელ ვიყავ და არა შემმოსე მეო“ და მსწრაფლ განიძარცუა სამოსელი თვისი და მისცა გლახაკსა. და თვით შიშუელმან ილლითა იტვირთა წმიდად სახარებად. და შეემთხვა მას მეცნიერი ვინმე და იხილა იგი შიშუელი და ჰრქუა მას: „მამაო სერაპიონ! ვინ განგძარცვა შენ?“ ხოლო მან გამოიღო წმიდად იგი სახარებად და რქუა – ამან გამძარცვა მე, მამაო!“ და შემდგომად ამისა შეემთხვა მას ერთი შეპყრობილი ვახშისათვის და არა რა აქუნდა მიცემად მისა. და შეეწყალა ნეტარსა სერაპიონს. აღიღო წმიდად იგი სახარებად და განვიდა და გამოიხსნა კაცი იგი შეჭირვებისაგან და მივიდა სენაკსა თვისსა. იხილა რად მოწაფემან მისმან შიშუელი, ეტყოდა მას: „სადა არს, მამაო პატიოსანო, სამოსელი შენი?“ მიუგო ბერმან და ჰრქუა: „წინასწარ წარვეზავენ იგი, შვილო, სადა უფროს სახმარ იყო ჩემდა“. და ჰრქუა მოწაფემან: „სადა არს, მამაო მცირე იგი სახარებად?“ მიუგო ბერმან: „შვილო! მარადის იგი მეტყოდა: „განვიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა“. მე თვით იგი განვიციდე და მივეც ქველის საქმედ, და მოხარულ ვარ მისთვის, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალსა, რომლისა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე“.

მეფე ზენონისთვის

მეფე ზენონი იყო კაცი ფრიად მოწყალე და მარადის ქველის მოქმედ გლახაკთა მიმართ. ხოლო ქურივსა ვისმე ასული მისტაცა იძულებით, მხეველად თვისად, და შევიდა ქურივი იგი ტაძარსა შინა ღუთისასა. და მხურვალედ ევედრა ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა, ცრემლით მეტყუელი, „დედუფალო, ყოველთა დაბადებულთაო! მიაგე ჩემთვის მეფესა ზენონს.“ ხოლო ამას ევედრებასა ჰყოფდა მარადდღე. დაუცხრომელად შესტიროდა ცხარითა ცრემლითა ღმრთისმშობელსა და გამოეცხადა მას ყოვლადწმიდა ღმრ-

თისმშობელი დედა იგი მოწყალისა ღუთისა და ჰრქუა: „გრწმენინ ჩემი, დედაკაცო, რამეთუ მრავალგზის ვინებე შურისგება შენ წილ ცრემლთა შენთათვის, გარნა ხელნი მისნი მაყენებენ მე, რამეთუ არს იგი მოწყალე ფრიად, და ვითარცა წყარო, ეგრეთ განვალს ხელთა მისთაგან მოწყალებად. და არავის ძალუძს მოწყალესა კაცსა ზედა ძვირის ჰყოფად.“ იხილეთ, ჰოი, ძმანო, ძალი მოწყალეებისა! და გულისხმაჰყავთ სიმაღლე საზომისა მისისა, რომლისა მიერ იდიდების ღმერთი უკუნითი უკუნისამდე.

ვითარმედ გლახაკთა მიმცემი მრავალწილად მიიღებს

იყო ვინმე დედაკაცი ქრისტიანე, რომელსა ჰყვა ქმარი წარმართი. ხოლო იყვნეს ორნივე გლახაკ და აქვნდათ ვეცხლი ვითარ ორმოცდაათი ოდენ. და ჰრქუა ქმარმან ცოლსა თვისსა: „მივსცეთ ვეცხლი ესე აღნადგინებად, რამეთუ უკეთუ ერთად შევჭამოთ ყოველივე, არღარა დაგვიშთეს იგი.“ და მიუგო კეთილმან მან დედაკაციმან: „უკეთუ გნებავს მიცემად აღნადგინებად, მიეც ეგე ღმერთსა ქრისტიანეთასა“ და ჰრქუა მას ქმარმან „სადა არს ღმერთი ქრისტიანეთა, რათა მივსცე მას აღნადგინებად“. ხოლო ეტყოდა მას დედაკაცი: „მე გიჩუენო შენ იგი, უკეთუ მისცე მას ვახშად, რომელი არა წარსწყმიდო, არამედ უშეტესად მოიღო შენ.“ ხოლო მან ჰრქუა: „წარვიდეთ, მიჩვენე და მივსცე მას აღნადგინებად.“ და წარიყვანა ეკლესიასა და უჩუენა გლახაკნი და ეტყოდა: „მიეც ამათ ვეცხლი ეგე და ღმერთმან ქრისტიანეთამან აღიხუნეს ეგენი ამათგან, რამეთუ ესე ყოველი მისნი არიან.“ ხოლო მან სიხარულით განუყო გლახაკთა ყოველივე ორმოცდაათი იგი ვეცხლი და წარვიდნენ სახიდ თვისად. და შემდგომად საბთა თუეთა არა რად დაუშთა, რომელიცა აქუნდა მათ საზრდელი. და ჰრქუა ქმარმან: „ჰოი, დედაკაცო! არა ჰნებავს აწ ღმერთსა ქრისტიანეთასა მოცემად ჩუენდა ვახშისაგან ჩუენგან მიცემულისა?! რამეთუ არა რად გვაქუს ჩუენ საზრდელი.“ ხოლო მან

პრქუა: „წარვედ, სადაცა ავასხე მას, და მოგცეს შენ, რაცა გიხმდეს და კმა გვეყოს ჩუენ.“

და წარვიდა ეკლესიად, სადაცა ვეცხლი განეყო გლახაკთათვის. და მოვლიდა ყოველსა გარემოსა ეკლესიისასა და ვერავინ იხილა მიმცემელი მისდა ვახშისა, გარნა ერთი ოდენ გლახაკი მჯდომარე. და ენება თქმად რადსამე მისდა მიმართ გამოძიებად. და იხილა წინა ფერხთა მისთა მარმარილოსა ზედა მდებარე ვეცხლი ერთი. აღიღო იგი და წარვიდა სახიდ თვისად. და პრქუა ცოლსა თვისსა ვითარმედ: „წარვედ ეკლესიად თქუენდა, გრწმენინ ჩემი, დედაკაცო? ვერა ვიხილე მე, ვითარცა მეტყოდი, ღმერთი ქრისტიანეთა. და არცარა მომცა მე, გარნა ერთი ვეცხლი ვიხილე მდებარე, სადაცა განუყავ მათ ორმოცდაათი.“ მაშინ პრქუა მას ბრძენმან მან დედაკაცმან: „იგი არს, რომელმან უხილავად მოგცა შენ, რამეთუ უხილავი არს ღმერთი და უხილავითა ძალითა განაგებს სოფელსა. არამედ წარვედ, უფალო ჩემო, და მოიყიდე მაგით საზრდელი ჩუენდა, რათა ვისეროთ, და კუალად მანვე მოგცეს შენ.“ წარვიდა კაცი იგი და მოიყიდა ვეცხლითა მით პური, ღვინო და თევზი. და მოიღო და მისცა ცოლსა თვისსა. ხოლო მან აღიღო თევზი და განუღო მუცელი, და ჰპოვა მას შინა ქვა დიდი და პატიოსანი. და ვერა სცნობდა, თუ რადმე არს? და შეინახა იგი. და მოვიდა რა ქმარი მისი, უჩუენა მას ქვა იგი და პრქუა: „უფალო ჩემო, ესე ვიხილე თევზისა მუცელსა შინა,“ ხოლო მან რად იხილა, განკვირდა სიკეთესა მისსა, და არცა მან უწყოდა თუ რად არს იგი და იტყოდა: „წარვიდე და განვიდო ესე.“ მივიდა მეთვალეთა თანა და პრქუა: „გნებავსთ სყიდუა ქვისა ამის?“ ხოლო მან პრქუა: „რად გნებავს, რათა მოგცე შენ ფასი მისი?“ და იგი ეტყოდა: „შენ უწყი რად ჯერ არს ფასი.“ და პრქუა მეთვალემან: „აღიდე ხუთი დრაჰკანი“. ხოლო იგი ჰგონებდა თუ უმდერის მას. და პრქუა ესოდენსა მოცემა. ხოლო მეთვალე ჰგონებდა თუ მცირედ აღუჩნდა. და პრქუა: „აღიდე ათი დრაჰკანი.“ და იგი ჰგონებდა თუ ეცინის მას. და დაუკვირდა

და კიდევ პრქუა მეთვალემან: „აღიდე ათხუთმეტი.“ და მან არა რად მიუგო, არამედ იცინოდა ვიდრე ოცდაათამდე და ორმოცდაათამდე მისცემდა მას დრაჰკანსა. მაშინ მიმსყიდველმან განიზრახა თავსა შორის თვისსა: „უკეთუმცა არა იყო ქვა ესე დიდისა რადსამე ფასისა, არამცა მოეცა ორმოცდაათი დრაჰკანი ჩემდა.“ და იწყო დამძიმებად ფასისა მისისა. ხოლო მეთვალემან მოსცა მას სამასი დრაჰკანი, და მაშინ მისცა ქვა იგი მას და წარვიდა ცოლისა მიმართ თვისისა განმხიარულებული. და ჰკითხვიდა ცოლი, თუ, „რაოდენად გაჰყიდე?“ ხოლო მან უჩვენა სამასი დრაჰკანისა ოქრო და ვეცხლი – ესოდენად განვიდე. ხოლო კეთილმორწმუნე დედაკაცი იგი კაცთმოყვარებასა ღმრთისასა განკვირდებოდა და აღიდებდა სახიერებასა მისსა. და ეტყოდა ქმარსა თვისსა: „ჰხედავა ღმერთსა ქრისტიანეთასა რაბამ სახიერ არს და კაცთმოყვარე? ვითარმედ არა თუ ორმოცდაათი, არამედ უმეტესიცა მოგცა შენ. უწყოდე, უფალო ჩემო, არა არს სხუა ღმერთი, არცა ცათა შინა არცა ქუეყანასა ზედა, არამედ იგი მხოლო არს ღმერთი ჭეშმარიტი.“ და მიიღო ქმარმანცა ნათლისღება და იქმნა ქრისტიანე. და აღესრულა სიტყუა მოციქულისა, ვითარმედ: „განწმდების ქმარი ურწმუნო ცოლისაგან მორწმუნისა.“ და ამიერიდგან ჰყოფდა გლახაკთა ზედა მოწყალებასა. რამეთუ მოწყალებისა მიერ ჰპოვა ნათელი ჭეშმარიტებისა და აღიდებდა ღმერთსა ჩვენსა უკუნითი უკუნისამდე.

ვითარმედ გლახაკთმოწყალე ასწილად მიიღებს

იყო ვინმე კაცი იერუსალიმს შინა სახელით სოზონ, რომელი ვიდოდა შორის ქალაქსა და ჰყოფდა მოწყალებასა გლახაკთა ზედა. და შეემთხვა გლახაკი შეჭირვებული. განიძარცვა სამოსელი თვისი და მისცა მას. და მას ღამესა იხილა განკვირვება, ვითარმედ იყოფოდა სახლსა შინა საკვირველსა, ფრიად შუენიერსა, რომელსა შინა იყო ნათელი დიდი და ბრწყინვალეობა თვალთშეუდგამი. და იხილა

სამოთხე შუენიერი, ნერგნი, მრავალ რიგნი და პირად-პირადად ხილნი და ყუავილნი მრავალ სუნელნი. ხოლო ხენი ირხეოდის და ჰფშოდეს კეთილთა სუნელთა და ისმოდა გალობად ყოვლად შუენიერი ტკბილი და საწადელი. არა იყო დუმილი გალობისა, არამედ სასმენელ იქმნებოდა კმად იგი ქუეყანით ცამდე.

და აჰა, დიდებითა დიდითა მოვიდა ვინმე და ჰრქუად სოზონს: „შემომიდევ მე!“ და მივიდენ გოდოლსა მიმართ ოქროდსა და უჩვენა მას სხვანი ბჭენი განხმულნი და პალატნი დიდად შუენიერნი და ძვირფასითა მარგალიტითა შემკობილნი. და მიხედნა რა მუნ სოზონ, აჰა გამოვიდეს პალატით კაცნი, ვითარცა ოქროს ფრთოსანნი, მხეებრ მნათობნი და ეპყრათ კიდობანი ოქროდსა, დასდგეს პირის-პირ წინაშე სოზონისა. და ელოდენ უდიდებულესსა ვისმე მოსლვად. და აჰა, კაცი ყოვლად-შუენიერი და ყოვლადდიდებული, გამობრწყინდა და ურიცხუნი ანგელოზნი მის თანა. და უბრძანა დიდებულმან მან ანგელოზთა: „უჩვენეთ კაცსა ამას, რომელმან შეიწყალა გლახაკი!“ და განაღეს კიდობანი იგი ოქროდსა და აღმოიდებდეს პერანგთა და შესამოსელთა სამეფოთა. და ჰრქუა სოზონს, რომელი იგი უბრძანებდა ანგელოზთა: „იცნობაა ამათ?“ ხოლო მან ჰრქუა: „არა ღირს ვარ აჩრდილთაცა მათთაცა მიხედუად, უფალო! ხოლო იგი ეტყოდა: „აჰა იხილე, რაოდენი კეთილნი განგიმზადე შენ, ერთისათვის საბლარდნელისა, რომელი შემოსე მე, რაჟამს მიხილე შიშუელი. წარვედ უკუე და ჰყოფდე ეგრეთვე, და მოგეგოს შენ ასწილად და ცხოვრებად საუკუნო დაიმკვიდრო!“ და მიუგო შიშით და სიხარულით შეპყრობილმან სოზონმან: „უფალო ჩემო! ესრეთ არსა, რომელნი ჰყოფენ წყალობასა გლახაკთასა?“ ხოლო მან ჰრქუა: „ესრეთა ყოველმან, რომელმან ჰყოს წყალობად, ას წილად მიიღოს და ცხოვრებად საუკუნო დაიმკვიდროს. ამასცა გეტყვი შენ, სოზონ! ნუ შეინანებ მოწყალებისათვის ნუშცა აყუე-

დრებ გლახაკსა, რათა არა სასყიდლისა წილ ორკეცი ზღვევა მიიღო!“ ხოლო ესე რად ესმა სოზონს, განიფრთხო ჩვენებისაგან და განკვირდებოდა თავსა შორისთვისსა, საკვირველისა ამის ხილვისათვის. და ჰსთქვა: „ვინათგან ესრეთ მეტყოდა მე უფალი ჩემი, მეორეცა ესე სამოსელი ჩემი გლახაკსა მივსცე.“ და მეორესაცა ღამეს იგივე ჩვენება იხილა. ხოლო აღსდგა ხვალისად და ყოველი მონაგები თვისი განუყო გლახაკთა. იჯმნა სრულიად სოფლისაგან და იქმნა მონაზონ და აღასრულა ბრძანებად უფლისა, ვითარმედ „უკეთუ გნებაგს სრულყოფად, განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, რათა გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა; და აღილე ჯუარი და შემომიდევ მე“.

და დაჰყვნა დღენი ცხოვრებისა თვისისანი უდაბნოსა შინა მრავლითა მოღვაწეობითა. სათნო ეყო ღმერთსა, და სრულსა საზომსა მიწვენილმან, მოიღო ღმრთისაგან მაღლი სასწაულთმოქმედებისა. და ნიშებშემოსილი, პატიოსანი სოზონ, უფლისა მიმართ მიიცუადა. და ნანდვილვე ას წილად მიიღო სასყიდელი ქუელის საქმისა თვისისა და ცხოვრებად საუკუნო დაიმკვიდრა. ხოლო მსმენელნი ამის საკვირველებისანი ვჰბაძვიდეთ ჩუენცა, ძმანო, სათნოებასა მისსა და ვიქმოდეთ ძალისაებრ ჩუენისა გლახაკთა ზედა მოწყალებასა, რათა ჩუენცა შეწყალებულ ვიქმნეთ ღმრთისა მიერ. ერთისა წილ ასი მოვიდოთ და ცხოვრებად საუკუნო დავიმკვიდროთ და ვადიდებდეთ წყალობისა ჯერმჩინებელსა მამასა და მხოლოდშობილსა ძესა და ცხოველსმყოფელსა სულსა წმიდასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებად, პატივი და თაყუანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

მღვდლის, ვასილ კარბელაშვილის

საკუთრებით და რედაქციით გამოცემული. თბ. 1892 წ. ჩუებ წ.

QARTULI GALOBA

(ქართული გალობის ისტორიის საკითხები – მრავალხმიანობა)

„საერო სიმღერა დაედო სარჩულად
გალობას და იგი მამაა გალობისა.“
ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილი

პროფესიული მუსიკა ძველთაგანვე ჩნდება ცივილურ ქვეყნებში (შუმერი, ძველი ეგვიპტე); გამოიკვეთა მმართველი ელიტისა და ქურუმთა მუსიკა; ჩნდება სკოლები, სადაც პროფესიული მუსიკის განვითარებისათვის მზადდებოდა კადრები, როგორც ვოკალური, ისე ინსტრუმენტული და ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა იქმნებოდა შემსრულებელთა კამერული და დიდი შემადგენლობისათვის. გაჩნდა ახალი ჟანრები. მუსიკას უადრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. პროფესიონალი მუსიკოსები უდიდესი მხარდაჭერითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. ცნობილია ისიც, რომ ძველ ეგვიპტეში პროფესიონალ მუსიკოსებად ფარაონის ნათესავები ითვლებოდნენ.

ამავე პერიოდში ჩაისახა და განვითარდა მუსიკის თეორია, რომელიც იკვლევდა მუსიკალური აკუსტიკის, კილოს და სხვა თეორიულ საკითხებს. ბუნებრივია, მუსიკის მცოდნეებს უნდა შეექმნათ და შექმნეს კიდევ მუსიკის ჩაწერის ნაირგვარი სისტემები; რადგან პროფესიული მუსიკის განვითარება სწორედ მასზე იყო დამოკიდებული; მაგრამ რამდენად სრულყოფილად არის გადმოცემული იმ პერიოდის ნოტაციები, რომელიც რეალურად ჟღერდა მუსიკალურ პრაქტიკაში, დღემდე დაუდგენელია. თუმცა, იმ პერიოდის ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის შესაძლებლობები მრავალხმიანობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. მრავალხმიანობა განსაკუთრებით „ადვილი“ მისაღწევია მრავალხმიანი ინსტრუმენტებზე, საკრავთა ანსამბლებში, ვოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკაში და მრავალხმიანი ჩასაბერ საკრავებზე (მრავალერიანი პანის ფლეიტა და გუდასტვირი). ძველად, ალბათ, არც იყო დასმული კითხვა: ჯერ მრავალხმიანობა იყო და შემდეგ – უნისონური სიმღერა, თუ – პირიქით, რადგან ამის დადგენის საჭიროებას ვერც ხედავდნენ.

საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრებით მიღებული მასალებით, დასტურდება წარმართული პერიოდის მრავალი საკულტო ნაგებობების არსებობა.

საქართველოში, ქრისტიანობის მიღებამდე, ქურუმთა კულტმსახურება უწყვეტად მიმდინარეობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტაძრებში ადგილობრივი ქურუმების მიერ შეთხზული ერთხმიანი და მრავალხმიანი საგალობლებიც სრულდებოდა, რაც ქართული წარმართული გალობის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის აღმნიშვნელია.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის თანამედროვე მიღწევების მიუხედავად, დღემდე გადუჭრელია არა მარტო მრავალხმიანობის წარმოშობის საკითხი, არამედ ისეთი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისა, როგორცაა მუსიკის ენის წარმოშობა. ამ და სხვა პრობლემების დაძლევისთან დაკავშირებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიასა და მეცნიერებას შორის მჭიდრო კავშირს.

უდიდეს მეცნიერებს, კომპოზიტორებს, მწერლებს დვთის რწმენა ჰქონდათ და საკუთარ მიღწევებს, შემოქმედს უკავშირებდნენ. ალბერტ აინშტაინი ამბობდა: „იდეებს ღმერთი გვაძლევს“. ნილს ბორის აზრით – „მეცნიერი კი არ ქმნის კანონებს, არამედ მხოლოდ იმას აღმოაჩენს, რაც უკვე ჩადებულია ბუნებაში ღმერთის მიერ“.

როგორც სოლო, ისე უნისონური და მრავალხმიანობის ინტონირების უნარი სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა გზით ვლინდებოდა და ვითარდებოდა; რაც ძირითადად, განპირობებული იყო რელიგიური, ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალური ფაქტორებით. მთავარი ის კი არაა – ჯერ მრავალხმიანობაა და შემდეგ კი უნისონური სიმღერა, ან პირიქით, – არამედ დღეს არ არსებობს ერი, რომელსაც ხალხურ ან პროფე-

სიულ მუსიკაში არ ჰქონდეს, როგორც სოლო, ისე უნისონური და მრავალხმიანი მუსიკა. რასაკვირველია, ზეგავლენის ფაქტორიც არ უნდა გამოვრიცხოთ, განსაკუთრებით, მეზობელ კულტურათა შორის. და არის კიდევ ამის ფაქტები; მაგრამ ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ, ზეგავლენის გარეშე, ამა თუ იმ კულტურაში მაინც არ ეჩინა თავი მრავალხმიანობას.

ქართველ და უცხო ქვეყნის მკვლევართა მიერ დიდი ხანია შემჩნეულია მსგავსება, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის მრავალხმიანი პროფესიული მუსიკისა, ქართულ ხალხურ სიმღერასთან; მაგრამ ეს ფაქტი არ გვაძლევს უტყუარ დასტურს მასზე, რომ მრავალხმიანმა ქართულმა ხალხურმა სიმღერამ ან გალობამ ზეგავლენა იქონია დასავლეთ ევროპის პროფესიულ მუსიკაში მრავალხმიანობის წარმოშობაზე.



დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი და მისი შვილი მღვდელი ფილიმონ კარბელაშვილი 1903 წელი

მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ კულტურებს შორის განუზომლად მეტია საერთო, ვიდრე ეს დღეს მიაჩნია მუსიკისმცოდნეთა დიდ ნაწილს. ის გარემოება, რომ საერთო ბევრია, გეოგრაფიულად ძალზედ დაშორებულ

კულტურებს შორისაც, არ უნდა იყოს გასაკვირი. გასაკვირი იქნებოდა ის, რომ საერთო არ ჰქონოდათ. განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ ზოგადი მუსიკალური კანონზომიერებები (დიატონური და შერეული კილოური სისტემები, მუსიკალურ-აკუსტიკური წყობა (ზონური), ხმათასვლა, საკადანსო ფორმები, თანხმოვანები, მოდულაციური ტექნიკა, ერთხმიანი (სოლო, უნისონური) და მრავალხმიანი ინტონირება, მუსიკალური აზრის მრავალგზის (ზუსტი ან სახეცვლილი) განმეორება, როგორც განვითარების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება, ფაქტურის სახეები, რესპონსორული და ანტიკონური მღერა, იმპროვიზების უნარი და მრავალი სხვა ყოველ ერში იხენს თავს – მის გენოტიპში დევს.

საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ქრისტიანობის გავრცელება პირველივე საუკუნეში იწყება: „საეკლესიო ისტორიოგრაფიისთვის ცნობილია, რომ ჩვენში ქრისტიანობა გაავრცელეს, ანუ ქართული ეროვნული ეკლესია დააფუძნეს თვით მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, ბართლომემ, მათეათიამ.“ როგორც ცნობილია, შემოვიდოდა თუ არა რომელიმე ერში ქრისტიანობა, მას თან მოჰქონდა ხოლმე საქრისტიანო პირველდაწყებითი სკოლებიც, სადაც სხვადასხვა საგნებთან ერთად, საეკლესიო გალობასაც ასწავლიდნენ. დაახლოებით III – VI სს-ში ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად ფუნქციონირებდა კოლხეთის აკადემია და უმაღლესი რიტორიკული სკოლა; სადაც სწავლობდნენ როგორც ქართველები, ისე უცხოელები. სავალდებულო საგნებში მუსიკაც შედიოდა.

საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი თანდათანობით იზრდებოდა, რაც თარგმნილი და ორიგინალური შრომებით იყო განპირობებული. სხვადასხვა პერიოდში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი სასულიერო პირები და მოაზროვნეები: პეტრე იბერი (411-491), გრიგოლ ხანძთელი (759-861), მიქაელ მოდრეკილი (X ს), იოანე პეტრიწი (XI-XII სს) და სხვა.

კონსტანტინეპოლის პატრიარქის, უწმიდესი ბართლომეოს I-ის აზრით, „საქართველოში ყოველთვის დიდ სიმაღლეზე იდგა საეკლესიო ცხოვრება, თეოლოგიური

განათლება, ხელოვნება, ასკეტური ცხოვრება, რითაც თქვენმა ქვეყანამ დიდი წვლილი შეიტანა სრულიად მართლმადიდებლობის ტრადიციების გამდიდრებაში.“


საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამ წარმართული სიმღერა შეცვალა ქრისტიანულით, რაც უფრო გალობის ტექსტის და არა მუსიკის შეცვლაში გამოიხატა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, წარმართული გალობის მსგავსად, ქართული მართლმადიდებლური გალობაც თავდაპირველად იქნებოდა როგორც სამხმიანი, ისე ერთი და ორხმიანიც.

ქართული მართლმადიდებლური გალობის ისტორიული წინამძღვრებისა და ბუნების შესახებ, უაღრესად მნიშვნელოვანი და ავტორიტეტულია სასულიერო პირების მოსაზრებები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის (1855-1918) ცნობით: „ჩვენს სიმღერა – გალობას ოთხი-ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს. ახლანდელ ქართულ სიმღერას უწინ რელიგიური ხასიათი ჰქონია და საკერპოებში გალობდნენ. ჩვენში შემოტანილმა ქრისტიანობამ, ძველი სიმღერა მხოლოდ გააქრისტიანა, მას რელიგიური ხასიათი მისცა. ახლაც, ხალხური სიმღერა და საეკლესიო გალობა ძალიან წააგავს ერთმანეთს. გალობა იმთავითვე სამხმიანი გვექონდა.“ იგივე შეხედულება კონკრეტული ნიმუშებითაა დასახელებული პოლიევქტოს კარბელაშვილის შრომაში: „დღესაც იმ კერპთა პატივად შექმნილთა საგალობელთაგან ბევრია დარჩომილი ქართლ-კახეთში: იაუნანა, მზეშინა, მგზავრული, მუმლი მუხასა, ფერხული, დიდება, ალილო, ჭონა, ზარი და სხვა. რაკი დედააზრი ესრეთის ღოცვა-ვედრებისა არ ეწინააღმდეგებოდა საქრისტიანო მოძღვრებასა, სამღვდულოება ვგრეთვე მოექცა კერპობის დროინდელ სასიმღერო და საგალობელ კილოებს: აილო და ამ კილოებს ამოუყენა საქრისტიანო საგალობელთა სიტყვები (ტექსტი) და ძველი კილო ხელუხლებელი დარჩა“.

მართალია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, გარკვეულ პერიოდში, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიის მარტომადიდებელ ეკლესიასთან, მაგრამ, როგორც ცნობილია, რომის კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით, ბიზანტიის მართლმადიდე-

ბელი ეკლესია არ უკრძალავდა ბიზანტიის იმპერიის (330-1453წწ.) ქვეშ გაერთიანებულ სხვადასხვა ქვეყნის მგალობლებს, მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვას და ბუნებრივია, არც იმას მოითხოვდნენ, რომ გალობა ყოფილიყო ერთხმიანი. ფრანგი მეცნიერი შარლ მიშელ დილი (1859-1944) წიგნში „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“ წერს: „ბიზანტიის იმპერიას არ გააჩნდა არც ეროვნული და არც ენობრივი ერთობა: ეს იყო, როგორც ამბობდნენ „ხელოვნური წარმონაქმნი, რომელიც ოც სხვადასხვა ეროვნებას აერთიანებდა და შემდეგი ფორმულით ხელმძღვანელობდა: ერთი მბრძანებელი, ერთი სარწმუნოება“ (გვ.94).

როდესაც გიორგი მთაწმინდელმა (1009-1065) ბიზანტიის კეისრის წინაშე ბერძნული



წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე)

საგალობლები შეასრულა, 80 ბავშვისაგან შემდგარი გუნდით, კეისარმა თქვა: „განგის-წავლიან ბერძნულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შენნი ობოლნი“ და ბრძანა: „ათასი აჟურა მიცემად მათდაო.“ ივანე ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, „კეისრის სიტყვათაგან ჩანს, რომ მას ბერძნული და ქართული საეკლესიო მუსიკის განსხვავებულობა კარგად სცოდნია“... რომ ათონის ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში „ქართულსა

გვარზედა“ გალობდნენ. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომლის მიხედვითაც ათონის ქართველთა მონასტერში ბერებს „ქართულსა გვარსა ზედა გალობას“ არაეინ არ უკრძალავდა.

პოლიევექტოს კარბელაშვილი შრომაში „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ გვაძლევს მგალობელთა არასრულ ჩამონათვალს (ახ.წ. VIII საუკ. II ნახევრიდან დაწყებული XIX ს. ჩათვლით), სადაც ზოგიერთი მგალობელის გვარის გასწვრივ მიწერილია – „სრული მგალობელი“, ან „სრული მწერალ-მწიგნობარი და მგალობელი“ (გვ.76-83), რაც გულისხმობდა პიროვნებას, რომელმაც ზეპირად იცოდა საგალობლის ყველა ხმა, ნევმური ნოტაციის დახმარებით. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, „მესხური მატეიანის ავტორის, მზეჭაბუკის, საქებურ თვისებათა შორის ისიც აქვს აღნიშნული, რომ „პატრონი მზეჭაბუკ... სრული მწიგნობარ-მგალობელი და... ხმაშუენიერი იყო (იქვე გვ. 236). სამწუხაროდ, ამაზე ადრინდელი ცნობა (XVI ს.) სრულ მწიგნობარ-მგალობელზე ჯერჯერობით არ გავგაჩნია.


XIX ს-ში როდესაც შეიქმნა საშიშროება საეკლესიო საგალობლების მივიწყებისა და სამუდამოდ დაკარგვისა (თანდათანობით კლებულობდა სრული მგალობლების რაოდენობა), საეკლესიო გალობის აღმდგენი კომიტეტის მიერ სამხმეიანი საგალობლების ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადატანის მიზნით, მოიწვიეს გალობის მცოდნე დიდოსტატები: ანტონ დუმბაძე, ვასილ კარბელაშვილი და სხვანი. იმ დროს საეკლესიო საგალობლები განსაკუთრებით მრავლად ყოფილა შემორჩენილი დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლებში. ამასთან დაკავშირებით, ესტატე კერესელიძე აღნიშნავს: „ეპისკოპოსმა გაბრიელმა მისწერა წერილები სხვადასხვა ადგილებში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა), სადაც გამოჩენილი პირები და მგალობლები იყვნენ შემორჩენილნი (ილ. თავბერიძე „XIX ს. ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა“. თბ. 2005).

ქართველურ ტომებს შორეულ წარსულშიც ექნებოდათ წერითი ფორმით გალობის დაფიქსირების სისტემა, რომელიც განიცდიდა განახლებას, ცვალებადობას; ისე, როგორც ეს ხდებოდა ჩვ.წ. X საუკუნიდან

XX საუკუნის 70-იანი წლების ჩათვლით. მართალია XIV – XVII სს. არ გავგაჩნია ნევმებით გაწყობილი ხელნაწერები, მაგრამ როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ პერიოდის მოღვაწე მგალობლებსაც ექნებოდათ საგალობლების პირადი ხელითნაწერი რვეულები, ნევმური ნოტაციით. პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ სასულიერო წრის პირებს, რომლებიც ნევმური ნოტაციის დახმარებით საგალობლებს ასწავლიდნენ მმართველ ელიტას და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებსაც, მაგალითად, ასეთი ხელნაწერი რვეული ჰქონდა არტემ ერქომაიშვილს (1887-1967), რომლის შესახებაც ანზორ ერქომაიშვილი (1940) წერს: „საგალობლების გასახსენებლად არტემ ერქომაიშვილი იყენებდა ხელით ნაწერი ნიშნებს (ნევმებს), რომლებიც მას ტექსტის თავზე ჰქონდა მიწერილი. ეს ნიშნები დანერგილი იყო გალობის შემსწავლელ სკოლაში... მათი მეშვეობით არც ბგერათა სიმადლე განისაზღვრებოდა და არც რიტმი. ეს ტრადიციული ნევმები მარტო ბგერათა მიმართულების მაჩვენებელი იყო და მელოდიის შესასწავლად ან გასახსენებლად გამოიყენებოდა... ბაბუას თქმით, ნევმების კარგ მცოდნეს შეეძლო დღეში ათამდე საგალობელი შეესწავლა. არტემ ერქომაიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ნევმები სამივე ხმის შესასწავლად ან შესახსენებლად კი არ იყო გამიზნული, არამედ მხოლოდ ერთი, პირველი ხმისთვის. სხვა ხმებს მომდერლები თვითონ მიუსადაგებდნენ. საინტერესოა ისიც, რომ, ბაბუას თქმით, ერთი საგალობლის კილოსათვის ხშირად თურმე ათი სხვადასხვა სიტყვიერი ტექსტი მიუსადაგებიათ. მის ხელნაწერ რვეულებში საგალობლების ტექსტებს მიწერილი აქვს: იმდერება ამა და ამ (დასახელება) საგალობლის კილოზე.

დღეს ქართველ მუსიკის მცოდნეებში ეჭვს არ იწვევს, რომ XIX – XX სს. მიჯნაზე ჩვენი დიდოსტატი მგალობლების ნევმური ნოტაციით ნაგალობებს პირდაპირი კავშირი აქვთ X საუკუნეში მიქაელ მოდრეკილის ნევმური ნოტაციის საგალობლებთან. როგორც ჩანს, დღევანდელი სამხმეიანი საგალობლების მსგავსად, მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოცემული ქართული საგალობლებიც სამხმეიანია – კანონიკური ხმა

მოცემულია ნეგმური ნოტაციით, ხოლო დანარჩენ ორ ხმას მგალობლები „მიუსადაგებენ“. ანუ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის მუსიკალურ პრაქტიკაში. იმ განსხვავებით, რომ თავდაპირველად გრიგორისეული ქორალის მელოდია (მთავარი ხმა) დაფიქსირებული იყო ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე; ხოლო დანარჩენ ხმებს ზეპირად უსადაგებდნენ. სამწუხაროდ, განსხვავება იმაშიც გამოიხატა, რომ დასავლეთ ევროპამ ყველა ხმის დაფიქსირებას მიაღწია ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე; რითაც შეინარჩუნა წარსულის უმდიდრესი მემკვიდრეობა. ჩვენ კი არც ვიცით თუ რა საგანძური დაგვარგეთ. დაწაკარგი კი ძალზე დიდია. ხოლო ჩვენ იმ



პერიოდშიც ვერ მოვახერხეთ, ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე, ან ფონოჩანაწერებით, სამუდამოდ შეგვენახა XIX – XX სს. დიდი მგალობლებისა და სახალხო მომღერლების მემკვიდრეობა უფრო სრული სახით, ვიდრე დღეს არის დაფიქსირებული.

პოლიეპქტოს კარბელაშვილის აზრით: „ჩვენი გალობის სიძველის საბუთადვე მიგვანჩნია ის საგალობელი-სძლისპირი და დასდებელნი, რომელიც მიქაელ მოღრეკილის კრებულში არიან მოხსენებულნი სხვა საგალობელთა დედნებად და რომელთაც დღემდე გალობს საქართველოს ეკლესია და

ყველა დაბეჭდილ და ხელნაწერ საგალობლებში არიან მოთავსებული თავთავის ადგილს“.

შალვა ასლანიშვილის მართებული შეხედულებით: „კარბელაშვილის ყველაზე შესანიშნავ დაკვირვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან მოიპოვა საერთო ძველ ხელნაწერში მოთავსებულ საგალობლებსა და თანამედროვე საგალობლების მელოდიის და სიტყვიერი ტექსტის წინადადებებად დაყოფას შორის... ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ X-XI ს. საუკუნის საგალობელთა ტექსტები შემონახულია XVIII და თვით XX საუკუნეებში. ტექსტის გარდა შემონახულია აგრეთვე ხმაც... ამ ხელნაწერებში საერთო ტექსტები, ხმები და კადანსების რაოდენობა, შეიძლება გამოვიყენოთ X-XI სს. ქართული სანოტო ნიშნების მნიშვნელობის (შინაარსის) გამოსარკვევად. შესაძლებელია, შენარჩუნებულია აგრეთვე გალობის სხვა ელემენტებიც. კარბელაშვილი ძველი ქართული ხელნაწერების სანოტო ნიშნებს ადარებდა თანამედროვე სამხმიანი გალობის პირველ ხმას... თანამედროვე საგალობლების ყველა ხმის პრაქტიკული შედარება ძველ სანოტო ჩანაწერებთან კი სწორ გზაზე დაგვაყენებს.“

ფაქტობრივად, საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ დააკანონა მხოლოდ სამხმიანი გალობა, რასაც ჩვენამდე მოღწეული სამხმიანი საგალობლების რაოდენობა (მიახლოებით 8000-მდე) მიუთითებს. მაგრამ როდის მოხდა მისი კანონიზირება და ვის მიერ – მოითხოვს კვლევას. ერთი რამ კი დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ეს მოხდებოდა იოანე პეტრიწამდე გაცილებით ადრე. შესაძლებელია ეს განახორციელა გრიგოლ ხანძთელმა, რომელმაც ერთ-ორ-და სამხმიან საგალობლებიდან კანონიკური სამხმიანი გალობა გახადა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებოა ნ. სულავას შეხედულება: „საგულისხმოდ მიგვანჩნია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთი ცნობაც. 102 წელს მიტანებული გრიგოლი შატბერდიდან ხანძთას წავიდა, რათა თავის პირველაშენებულ და დაარსებულ მონასტერში აღსრულებულიყო. მან ხანძთელ წმინდა მამებთან – ზენონთან და მაკართან ერთად „წართქვენს

ცისკრისა საგალობელინი“. გიორგი მერჩუ-
ლე საგანგებოდ ასახელებს სამ სასული-
ერო პირს, რათა გალობა ქართულად, ანუ
სამ ხმაში შესრულებულიყო. ალბათ ეს იყო
გენიალური მეხედისა და მგალობელის უკა-
ნასკნელი იმპროვიზირება თავის ორ თანამ-
გალობლებთან ერთად, სამ ხმაში.

თუ რომის კათოლიკურ ეკლესიას უნი-
სონური გალობა მიაჩნდა მრევლის ერთსუ-
ლოვნების გამომხატველად ღმერთისადმი,
იოანე პეტრიწმა ყოვლადწმიდა სამება ღმერ-
თის განმარტება, მრევლისათვის გასაგები
რომ ყოფილიყო, შეადარა ქართული მარ-
თლმადიდებლური კანონიკური გალობის
სამ დამოუკიდებელ ხმას: „მზახრ“ (მაღალი
ხმა), „ჟირ“ (საშუალო, მეორე ხმა) და „ბამ“
(ქვედა, დაბალი ხმა), ანუ ხმათა სამერთებას.
ნ. სულავას მართებული შენიშვნით, „მზახრ,
ჟირ, ბამის“ ქართულ მუსიკალურ აზროვნე-
ბაში, საღვთისმეტყველო ცნობიერების შედ-
ევად, მიღებული რომ არ იყოს, მას იოანე
პეტრიწი თეორიული მსჯელობის საფუძე-
ლად არ გახდიდა, რაც იმას მიუთითებს, რომ
ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმი-
ანობა პეტრიწამდე კარგა ხნით ადრეა დამ-
კვიდრებული...

იოანე პეტრიწის მუსიკალური ტერმი-
ნოლოგია მიუთითებს სიმღერა-გალობის
სწორედ სამი განსხვავებული – სხვადასხვა
ფუნქციის მქონე ხმების სამერთებაზე და
არა უნისონურ მღერაზე – სამერთების უნი-
სონში ხმოვანებაზე. ცნობილია, რომ უნისო-
ნური მღერა იშვიათად იჩენს თავს ქართულ
ხალხურ მუსიკაში და დიალექტთა გარკვეულ
ნაწილში საერთოდ არ გვხვდება. საყურა-

დღებოა ისიც, რომ უნისონური ინსტრუმენ-
ტული ანსამბლიც უცხოა ქართული მუსიკა-
ლური პრაქტიკისათვის, ამგვარი ანსამბლი
არ დასტურდება საქართველოს არც ერთ
კუთხეში. ციფრი სამი, რომელიც მისტიური
ციფრთა შორის გამორჩეულადაა მიჩნეული,
ქართულ ხალხურ სიმღერებში და საეკლე-
სიო საგალობლებში „ხმათა სამერთების“
სახით მოგვევლინა.

სამწუხაროდ, შეუძლებელია აღვადგინოთ
ქართული გალობა ისე, როგორც ის ჟღერდა
თუნდაც X საუკუნეში. მაგრამ მრავალხმიანი
რომ იყო, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თუ, ჩვენ
ხელთა გვაქვს უნიკალური ტრადიციული
სამხმიანი კანონიკური გალობა, პირველყოფ-
ლისა ჩვენი დიდი სასულიერო პირების დამ-
სახურებაა. და იყო თუ არა ქართული მარ-
თლმადიდებლური გალობა მრავალხმიანი,
ამაზე თავისი ავტორიტეტული აზრი გად-
მოცემულია სრულიად საქართველოს კათო-
ლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოთავეობით
ჩატარებული საქართველოს ეკლესიის წმინ-
და სინოდის 2003 წლის 18 აგვისტოს კრე-
ბის განჩინებაში: „ისტორიულ ტრადიციებზე
დაყრდნობით, ვაცხადებთ, რომ საქართველოს
მართლმადიდებლურ ეკლესიაში კანონი-
კური გალობა იყო და არის მრავალხმიანი
ქართული ტრადიციული გალობა. მისი აღ-
სრულება სავალდებულოა ყველა ქართულ
ტაძარში და ყველგან, ქართულ ენაზე აღე-
ლენილი ღვთისმსახურების დროს.

პროფესორი
ივანე ჟღენტო



~ MARADIULTAN SEXEBA ~

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მიმდინარე წლის შემოდგომას (სექტემბერ-ოქტომბერი) ხატმწერ მიხეილ მჭედლიშვილის პერსონალური გამოფენა მოეწყო, სადაც 40-ზე მეტი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ბატონი მიხეილი არის საქართველოსა და რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წევრი. იგი საერთაშორისო მასშტაბების გამოფენაკონკურსებში მონაწილეობს წლების მანძილზე. მნახველი განცვიფრებაში მოჰყავს მის უნიკალურ ნაქარგ ხატებს, ტექნიკურ და სულიერ სამყაროს. ერთი შეხედვით, ბატონი მიხეილის ნაქარგ ხატები საღებავებით დაფაზე შესრულებულ ხატებს მოგვაგონებს. მისი შემოქმედება სრულიად ორიგინალური ხელწერისაა და იმავდროს, ტრადიციულობითა და ეროვნულობით არის გაჯერებული.

მიხეილ მჭედლიშვილი დაიბადა 1950 წ. თბილისში. მან ხატვა სკოლის ასაკში დაიწყო. დაამთავრა თოიძის სამხატვრო სასწავლებელი, იუველიერ-გრაფიკოსის სპეციალობით. წლების მანძილზე მუშაობდა გრაფიკაში, იყო აღიარებული იუველიერი. მან მრავალი საიუველიერო ნიმუში შექმნა ეკლესიისათვის. 1996 წლიდან 2008 წლამდე, საქართველოს საელჩოს მიწვევით, მიხეილი რუსეთში მოღვაწეობდა. ბატონი მიხეილი დაჯილდოვდა მართლმადიდებლურ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის; მისი შემოქმედება წარმოდგენილია წიგნში „მიხეილ მჭედლიშვილის ნაქარგ ხატები“.

მხატვრის ნაქარგ კანონიკური ხატები თუ პორტრეტები თავმოყრილია ეკლესიებსა და კერძო კოლექციებში.



აღსანიშნავია, რომ ბატონი მიხეილის საეკლესიო ცხოვრება და ნაქარგი ხატების შექმნა დაკავშირებულია თბილისის სიონის ტაძართან და უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-თან. როგორც თავად ბატონი მიხეილი იგონებს: „ერთხელ, უწმიდეს ილია II-ის მისაღებში ვიჯექი და კედელზე ბოლნური ჯვარის ნაქარგობა ვიხილე. გავოგნდი: „ნუთუ ძაფს ამის გაკეთება შეუძლია-მეთქი? – და იმ დღიდან ვიშოვე ძაფები და დავიწყე ქარგვა. ჩემი პირველი ნამუშევარი იყო VI საუკუნის ქართველი მოღვაწე სირიელი მამების ხატები.“ მხატვრის სულიერი მოძღვარი, არქიმანდრიტი რაფაელი აღნიშნავს: „მისი ნაქარგი ხატები გადმოცემენ არა პორტრეტულ მსგავსებას, არამედ – სულიერს“. ხატმწერის თქმით: „როდესაც მოძღვარმა ეს ნამუშევრები იხილა, და მათ შორის ღირსი შიოს ხატი, დალოცა ხატმწერის ეს უანრი და თქვა: „დაიხსომე, ეს არის შენი სულის წამალი!“

მიხეილ მჭედლიშვილი თავისი შემოქმედების მიმართულებას ასე განმარტავს: „ხატმწერს უნდა ახსოვდეს, რომ შარავანდი, რომელიც წმიდანის სახეს აკრავს, თაბორის ნათლის სიმბოლოა, რამეთუ წმიდანი მარადიულიდან უცქერის ჩვენს სამყაროს. რა თქმა უნდა, მხატვრისთვის დიდი მიღწევაა, თუკი იგი შეძლებს, რომ ხატმწერისას მიაღწიოს უმთავრეს მიზანს: მიწიერით – ზეციურის ჩვენებას და ნივთიერით – სულიერის. ნამდვილი ხატი ადამიანს მარადიულთან შეხების შესაძლებლობას აძლევს“.

მონოზონი ანა (ნიაური)



წმიდა იოანე (მაისურაძე), წმიდა იოანე-გიორგი (მხეიძე), წმიდა გაბრიელი (ურგებაძე), კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II



~ ME ROM SEMEZLOS, AXAL IAVNANAS DAVWERDI...~

წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობა თენდება. მივემგზავრებით. მარშრუტი – ტაო-კლარჯეთი-კაბადოკიაა. ნაშუადღევს უკვე საზღვარზე ვართ. მეგობრულად ვესალმებით მესაზღვრეებს. გიდი გვეუბნება, რომ წინ დიდი გზა და „არაჩვეულებრივი დღეები გველოდება“.

გავიარეთ შავშეთის მთები, ლამაზი



ხანძთა. X ს.

ხეობა. ვნახეთ ადგილი, საიდანაც მდინარე მტკვარი იღებს სათავეს და ვჩქარობთ, რომ დაღამებამდე მოვასწროთ ტბეთის ნახვა. ღამით ართვინში დავბინავდით. რატომღაც ძილი არ მეკარება, ჩემთვის ჩუმი ვლოცულობ და ვევედრები წმიდა გრიგოლ ხანძთელს – ხვალ ხომ ხანძთა და კიდევ ბევრი წმიდა ადგილი გველოდება. მეორე დღეს სხვა ქალაქში მოგვიხდა გაჩერება, აქ რამდენიმე დღე დაყავით. ჩვენი სასტუმროს მეპატრონე ქართველია. ვახშმის შემდეგ გარეთ გამოვედით. ჩვენს წინ პატარა ტკბილეულობის მაღაზიაა. ერთ-ერთ მაღაზიაში ქართველები არიან. „ქართველები ხართ?“ – ვეკითხები. „რა თქმა უნდა გურჯები ვართ.“ იქვე ახალგაზრდა გოგონა ზის, მაყვალვიით შავი თვალები აქვს, თავზე თეთრი, დიდი მოსახვევი აფარია და მორიდებით იღიმება. „რა

გქვია გოგოვ? შენც ქართველი ხარ?“ – ვეკითხები. ჩემი კითხვა ვერ გაიგო. „ფატი, ფატიმა, ესეც ქართველია,“ – მპასუხობენ – „ჩვენ გვეხმარება.“ სევდიანად შევცქერი, რატომღაც იაკობ გოგებაშვილის „იანანამ რა ჰქმნა“ გამახსენდა და ვფიქრობ: „ნეტავ შემეძლოს, დავწერდი ახალ იანანას.“ ტაო-კლარჯეთში მოგზაურობა ხასულოთ დავამთავრეთ. ყოველი ტაძრის მონახულების შემდეგ სევდა, მონატრება მეუფლება. ერთ-ერთი ჯგუფის წევრი მეუბნება: „როდესაც ნახევრად დანგრეულ ტაძარში შევდივარ, სულ ვტირი და იქაურობას ვეფერებიო“.

ღამეს ავტობუსში ვათენებთ. მეორე დღეს, ნაშუადღევს ჩავდივართ კაბადოკიაში. ვათვალიერებთ ქვაში ნაკვეთ ქალაქებს, ტაძრებს, სენაკებს, მაგრამ მე უკვე შინ მინდა დაბრუნება. ზღვის ნაპირით მოგვიხდა მგზავრობა, საზღვარზე სადამოს მოვედით. ჩვენი მოგზაურობა მთავრდება. ერთ-მანეთს სიყვარულით ვემშვიდობებით, ალბათ თითოეული ჩვენგანი კვლავ თავის საქმეს დაუბრუნდება, მე კი, გამოუთქმელი ტკივილი დამრჩა, რომელიც თან მდევს და არ მშორდება.

ტაო-კლარჯეთი – ჩემი მონატრება

გაცქერი ნახევრად დანგრეულ ტაძრებს, გაქვავებული ვდგავარ. არანაირი გრძნობა არ მეუფლება. ვეძებთ ნანგრევებზე ჩვენი წინაპრების ნაკვალევს; გარინდებული ვუსმენ მდინარის ხმაურს, ხეობაში თეთრად აქაფებული რომ მოედინება და მინდა სამუდამოდ დარჩეს ჩემს არსებაში, ჩემს მესხიერებაში.

ვტოვებთ ტაოს, კლარჯეთს, და გადავდივართ კაბადოკიაში. ღამე არ მძინავს. უცებ ღამის სიჩუმეში მესმის მოლას გაბმული ხმა. ცუდად ვარ, ძალიან ცუ-

დად. სახარებას ვიღებ, გულში ვიხუტებ, კითხვის თავიც აღარა მაქვს და ვფიქრობ: ქრისტიანი ვარ, რა ბედნიერებაა.

ვათვალიერებთ კლდეებში გამოკვეთილ ტაძრებს, სენაკებს, მაგრამ მე უკვე მეჩქარება შინ დაბრუნება. ზღვის ნაპირით მოგვიხდა მგზავრობა. გავცქერი ჩვენს მიწა-წყალს და ვფიქრობ: აი, თურმე, რატომ ვერ ისვენებდა და ვერ ისვენებს მტერი, რატომ გვაწიოკებდა და გვაწიოკებს. ჩემთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა, რატომ სწირავდა თავს ქართველი კაცი სამშობლოს. ყველგან თურქული წარწერებია. საღამოს მოგვიხდა საზღვარზე მოსვლა.

ვტოვებთ თურქეთში დარჩენილ ჩვენი სამშობლოს ნაწილს და ფეხით გადმოვდივართ. რკინის რიკულებიდან ვხედავ წარწერას, დიდი ქართული ასოებით – საქართველო, და ვტირი. ვტირი, „უფალო, გადაარჩინე ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო.“ მინდა თითოეული ასოც კი გულში ჩავიკრა. იქ დავტოვეთ ჩვენი

სამშობლოს ნაწილი, გამოუთქმელი სევდა და ტკივილი მეუფლება მონატრებისა. „შევეყრებთ მომავალს იმედით“. ობლად დარჩენილი ჩვენი მარგალიტები გველოდება; გველოდება ჩვენი ტაო, ჩვენი კლარჯეთი, ჩვენი მონასტრები, რომლებიც კვლავ აყვავდება, კვლავ აჟღერდება ქართული საგალობლები, კვლავ აღევლინება ქართულითა ენითა წმიდა ლოცვები. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი სურვილი, არამედ ეს არის ვედრება იმ წმიდა ადამიანებისა, რომლებიც მოღვაწეობდნენ აქ, ამ წმიდა ადგილზე, ეს არის მათი სისხლი და ცრემლი, რომელიც ცას სწვდება და აღწევს უფლის საბრძანებელს. მოვა

დრო, როცა დამთავრდება მისი წამება და კვლავ სამშობლოს შეუერთდება, აყვავდუ-



ოშკი. X ს.

გალობლები, კვლავ აღევლინება ქართულითა ენითა წმიდა ლოცვები. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი სურვილი, არამედ ეს არის ვედრება იმ წმიდა ადამიანებისა, რომლებიც მოღვაწეობდნენ აქ, ამ წმიდა ადგილზე, ეს არის მათი სისხლი და ცრემლი, რომელიც ცას სწვდება და აღწევს უფლის საბრძანებელს. მოვა



დოლისყანა. X ს.



პარსალი. X ს.

ბა, ვითარცა ფინიკი სამოთხესა შინა. ტაო, შენთვის ლოცულობს გრიგოლ ხანძთელი, მეფენი და პატრიარქები: ტაო-კლარჯეთო, დარდო ჩვენო და იმედო ჩვენო, ჟამი არს გაღვიძებისა, ჟამი არს შენებისა.

**მონოზონი ანგელინა
(ხატიაშვილი)**

